პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

20 აგვისტო 1972 წელი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 195 (15408)

ხუთწლედი — ვადამდე!

მაღალნაყოფიერი შრომით აღვნიშნოთ ყოველი დღე!

დავაჩქაროთ პროდუქციის წარმოების ზრდა

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტს წარმატებით ეწევა თბილისის საელმავლო დეპოს № 5 სახარატო საამქროს კომუნისტური შრომის დამკვრელი, ნოვატორი ხარატი ვ. მონასელიძე. იგი უკვე 37 წელია ამ საწარმოში მუშაობს. მონასელიძე 30 რაციონალიზატორული წინადადების ავტორია.

სურათზე: ვ. მონასელიძე.

ს. თევზაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოში

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებისა და „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1972 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად, აგრეთვე ექიმების, მასწავლებლების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების აღმზრდელების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების დარგში დასახული პრაქტიკული ამოცანების შესრულებით მათი ინტერესების გაძლიერების, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების დაწესებულებებში სამუშაოდ კვალიფიციური კადრების მოზიდვის მიზნით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ მიიღეს დადგენილება 1972 წლის 1 სექტემბრიდან ექიმების, მასწავლებლებისა და სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების აღმზრდელების განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების მომატების შესახებ.

ექიმების, მასწავლებლებისა და სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების აღმზრდელების ხელფასის მომატებასთან ერთად იზრდება საშუალო სპეციალური სასწავლებლისა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლების მასწავლებლების, სკოლებისა და განათლების სხვა დაწესებულებების აღმზრდელების, უფროსი პიონერხელმძღვანელების, საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, ამბულატორიების, სკოლების, საშუალო სპეციალური სასწავლებლების, საბავშვო ბაღების, საბავშვო სახლების, ინტერნატების ხელმძღვანელების, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების რაიონული ორგანოების ინსპექტორების ხელფასი.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს მიაჩნიათ, რომ ამ ღონისძიებათა განხორციელება ხელს შეუწყობს იმ ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც სკკპ XXIV ყრილობამ დასახა მოსახლეობის სამედიცინო დახმარების შემდგომი გაუმჯობესების, სახალხო განათლების ყოველმხრივ განვითარებისა და მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის დონის ამაღლების საქმეში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო აგრეთვე დადგენილება 1972 წლის 1 სექტემბრიდან უმაღლესი სასწავლებლების იმ მასწავლებელთა თანამდებობრივი განაკვეთების რამდენადმე მომატების შესახებ, რომლებსაც სამეცნიერო ხარისხი არა აქვთ.

დაწინაურდნენ ქიმიკოსები

რუსთავი. (საკ. კორ.). თავდადებით შრომობენ ქიმიური ბოჭკოს ქარხნის საამქროთა კოლექტივები. პროდუქციის გამოშვების შვიდი თვის დავალება 101,2 პროცენტით შეასრულეს, ხოლო პროდუქციის რეალიზაციისა — 104,7 პროცენტით. გასულ წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ქარხნის კოლექტივმა ერთი პროცენტით გაზარდა შრომის ნაყოფიერება და ამავე ოდენობით შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება.

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქიმიურ-სართავი და კორდის საგრეხი საამქროების კოლექტივებმა.

ამ დღეებში შეაჯამეს სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და „პროფესიაში საუკეთესოთა“ წოდება მიანიჭეს მეაპარატე დ. ჯორადეს, მრთველ ს. ბაზაევს, ამმხსვველ ნ. ბირიუკოვას, მძახავებს ც. ზატაბშვილსა და თ. ქავთარაძეს, გადამხვევ დ. ნანდოშვილს, მჭსოველ რ. ელისაშვილს, შემფუთავ-დამხარისხებელს ლ. ბაიხჩანს, ზეინკალ ი. კეშელავას, ელექტრიკოს ბ. კოლომეიცს.

ზ. მერკვილაძე.

ხიდი და კრემია მუშებისგან

თბილისი. მეთვრამეტე ტრესტის (მმართველი ვ. ნარიმანიძე) სამშენებლო ორგანიზაციებმა კარგად დაიწყეს შეცხრე ხუთწლედის მეორე წელი. მშენებლობაში მოწინავე მეთოდების დანერგვით, სოციალისტური შეჯიბრების სწორი ხელმძღვანელობით ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. ტრესტის კოლექტივმა განსაკუთრებით ისახელა თავი მეორე კვარტალში. გეგმა ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებით შეასრულა, გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, დასახურებულად მოიპოვა სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროსა და პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

მშენებლებმა შრომის ტემპი კიდევ უფრო გააძლიერეს და შვიდი თვის გეგმა 103,7 პროცენტით გაანაღდეს, შესრულებულია 5 მილიონ 420 ათასი მანეთის სამუშაოები, გეგმა კი 5 მილიონ 225 ათას მანეთს ითვალისწინებდა, შრომის ნაყოფიერების დავალება 2,3 პროცენტით გადაამეტეს, მშენებლობის თვითღირებულების შემცირებით 50 ათასი მანეთი ზოგგეგმითი მოგება მიიღეს.

აგვისტოში სამშენებლო მოედნებზე კიდევ უფრო დიდი გამოცოცხლებაა. თვის ბოლომდე საექსპლოატაციოდ უნდა გადასცეს იქვესი სასკოლო შენობა, რომელთა ფართობი 6 ათას კვადრატულ მეტრს აღწევს.

სამშენებლო ორგანიზაციებს შორის დაწინაურდნენ და მშენებლობის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან № 1 და № 3 სამშენებლო სამმართველოები (უფროსი რ. ჩხაძე და ვ. გორგომეძე), რომლებმაც დიდი გადაჭარბებით შეასრულეს შვიდი თვის დავალება.

ზ. ჯამასიშვილი.

სხვადასხვა მისამართით

ხაშური. (საკ. კორ.). ტალინი, კალინინგრადი, რიგა, კლაიპედა და ვინ მოსთვლის სად არ შეხვდებით ხაშურის მექანიკურ ქარხანაში დამზადებულ პროდუქციას, რომელსაც ძირითადად თევზსაჭერ გემებზე იყენებენ. ქარხნის მუშა-მოსამსახურეები თვალისჩინივით უფრთხილდებიან საწარმოს მარკის ღირსებას. აქაური პროდუქცია საიმედოა.

ხაშურელმა მექანიკოსებმა შვიდი თვის პროდუქციის გამოშვების დავალება გადაჭარბებით შეასრულეს, ხოლო პროდუქციის რეალიზაციის მოცულობას 5 პროცენტით გადაჭარბეს, გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 2,4 პროცენტით აამაღლეს, მნიშვნელოვნად შემცირეს პროდუქციის თვითღირებულება.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ზეინკლები გ. ხარაზიშვილი, კ. ლეჟავა, ხარატი შ. ნოზაძე და მღარავი ტ. გაგლოშვილი.

რ. ბასილაშვილი.

ეროვნული ფასეულობა

20 აგვისტო სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეა

საშოგლოს მძლავრი ფრთები

მკვლევრები ავიაციის მარშალი ს. ი. რუდენკო

— ყოველგვარ ამინდში მოქმედი ზებგერითი, რაკეტმზიდასეთია დღეს ჩვენი საბოძოლო ავიაცია. ფრენის სიმაღლით, სიშორითა და სიჩქარით ბევრ საბჭოურ თვითმფრინავს ბადალი არა აქვს მსოფლიოში. მათ შეუძლიათ ატმოსფეროს ზონის მოედნიდან და დაჯდნენ მასზე. წაიღონ ყველა საჭიროების თანამედროვე იარაღი.

ასე დაიწყო საუბარი ჩვენი ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების შესახებ ავიაციის მარშალმა ს. ი. **რუდენკომ**, რომელსაც საკავშირო კორესპონდენტი ა. **მელიქოვი** ეუბნება სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის წინ. თითქმის ნახევარი საუკუნეა მსახურობს ავიაციის მარშალი ს. ი. რუდენკო სამხედრო-საჰაერო ძალებში. იყო მფრინავი, მეთაურობდა ავიადივიზიას, დიდი სამამულო ომი დაამთავრა როგორც იმ საჰაერო არმიის სარდალმა, რომელიც ეხმარებოდა ჩვენს ქვეითებსა და ტანკებს ბერლინის ალყაში. ომისშემდგომ წლებში ს. ი. რუდენკოს ეკავა სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდლის პირველი მოადგილის პოსტი, ახლა კი ი. ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის უფროსი გახლავთ.

— იმ ადამიანებს, რომლებიც არმიასთან არ არიან დაკავშირებული, ცხადია, უნდა შეეახსენოთ, რომ სამხედრო-საჰაერო ძალები შედგება შორეული, საფრონტო და სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციისაგან, — განაგრძო მარშალმა. — შორეული ავიაცია — ესაა მძლავრი საკონტინენტთაშორისო რაკეტმზიდი ხომალდები. მათ შეუძლიათ პრაქტიკულად მიაღწიონ დედამიწის რომელიც გნებავთ პუნქტს, და, მოწინააღმდეგის საჰაერო თავდაცვის ზონაში შეუსვლელად, მიაყენოს მძლავრი დარტყმები როგორც დედამიწის, ისევე ზღვის ობიექტებს. საფრონტო ავიაცია აღჭურვილია ავიაგამანადგურებლებთა და ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენებით, მზვერავი თვითმფრინავებით, ვერტმფრინავებით. ყველაზე რთული საბრძოლო ამოცანები შეუძლიათ გადაწყვიტონ ასეთი მანქანებით ფეიერიოლებულმა ნაწილებმა და შენაერთებმა. სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის განკარგულებაშია ახალი ტურბორეაქტიული თვითმფრინავები, რომლებიც განკუთვნილია დესანტების გადასასხმელად. ისინიც შორს ფრინავენ. ამასთან დესანტები შეიძლება გადასხან არა მარტო პარაშუტებით, არამედ ჩვეულებრივადაც — თვითმფრინავების დაჯდომით. რასაკვირველია მედესანტეებთან ერთად ჩაჰქონთ სხვადასხვა საბრძოლო ტექნიკა. მათ შორის ტანკები და თვითმავალი რაკეტული დანადგარები. ასე შეიძლება დადასახასიათო ჩვენი სამხედრო-საჰაერო ძალები ზოგადად და მოკლედ.

სამხედრო ავიაციის, ისევე როგორც სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სხვა სახეობების განუწყვეტელი სრულყოფისათვის დღენიადაგ ზრუნავენ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა. ჩვენი ქვეყნის მიღწევები ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში საშუალებას გვაძლევენ შევქმნათ პირველხარისხოვანი საბრძოლო თვითმფრინავები და მათი შეიარაღება, საჰაერეული, ფრენის მართვის საშუალებანი. ელექტრონეტენიკამ, ავტომატიკამ, ბევრად გააფართოვა სამხედრო-საჰაერო ძალების მოქმედების დიაპაზონი.

— გთხოვთ დააკონკრეტოთ ცნება: მძლავრი რაკეტმზიდი ხომალდები.

— ჩვენი შორი მოქმედების ბომბდამშენები მართლაც მძლავრი გახლავთ. ერთი ასეთი თვითმფრინავის ძალური დანადგარი, მაგალითად, ატომურ ყინულმჭრელ „ლენინის“ ძალურ დანადგარს აღემატება და საბჭოთა ჰიდროელექტროგენერატორის პირშოს — ვოლხოვის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრეს უტოლდება. წარმოიდგინეთ: მთელი ელექტროსადგური, და არც ისე პატარა, უზრუნველყოფს მხოლოდ ერთი თვითმფრინავის ფრენას. სწორედ ამატომაც შეუძლია მას წაიღოს დიდძალი ტვირთი — რაკეტები, ბომბები, ყუმბარები — საათში ათას კილომეტრზე ბევრად უფრო მეტი სიჩქარით.

რაკეტმზიდი საყურადღებოა სხვა თვალსაზრისით. ბოლო ომში ეს ვითარება ფრენის ზონაში, სამბრძოლო რადიოლოკატორის საშუალებით იგი თითქოსდა მიმოიხილავს მთელ სივრცეს გარშემო ასობით კილომეტრ მანძილზე. და, რაკი არანაკლებშნშენელოვანია, მას აქვს შუდმივი კავშირი თავის ბაზასთან.

— ვის ნიშნავენ ასეთ საჰაერო ხომალდთა მეთაურებად?

— პილოტებს, რომლებმაც კარგად იციან საფრენოსნო საქმე, დაუფლებული არიან თანამედროვე ტექნიკურ ცოდნას და ფიზიკურად გამოწრთობილნი გახლავან, „ნიადან ადგილი არ არის მრავალი საათი გაატარო ზედიზედ საპეკთან, როცა პასუხსაგებ დავალებას ასრულებს.

— ახლა გვიამბეთ ვერტმფრინავების შესახებ. ზოგჯერ უცნაურად ეჩვენება კაცს, რომ ეს ნელი. ზოზინა, დაბლა მფრინავი ხარახნილფრთიანი მანქანები იმ თვითმფრინავების ერთიან მწყობრში დგანან, რომლებიც გათვალისწინებული სტრატოსფეროს პირობებში და ბგერაზე სამჯერ მეტი სიჩქარის პირობებში სამუშაოდ. რა ადგილი უკავიათ და რა როლს ასრულებენ ვერტმფრინავები საშეიდრო-საჰაერო ძალებში?

— ყოველ იარაღს თავისი დანიშნულება აქვს. მისთვის განკუთვნილია საბრძოლო ოპერაციებში გამოყენების განსაზღვრული დროც. რასაკვირველია, ვერტმფრინავის ჩამოგდება საჰაერო თავდაცვის ძალური დანადგარი, მაგალითად, ატომურ ყინულმჭრელ „ლენინის“ ძალურ დანადგარს აღემატება და საბჭოთა ჰიდროელექტროგენერატორის პირშოს — ვოლხოვის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრეს უტოლდება. წარმოიდგინეთ: მთელი ელექტროსადგური, და არც ისე პატარა, უზრუნველყოფს მხოლოდ ერთი თვითმფრინავის ფრენას. სწორედ ამატომაც შეუძლია მას წაიღოს დიდძალი ტვირთი — რაკეტები, ბომბები, ყუმბარები — საათში ათას კილომეტრზე ბევრად უფრო მეტი სიჩქარით.

— ვის ნიშნავენ ასეთ საჰაერო ხომალდთა მეთაურებად?

— პილოტებს, რომლებმაც კარგად იციან საფრენოსნო საქმე, დაუფლებული არიან თანამედროვე ტექნიკურ ცოდნას და ფიზიკურად გამოწრთობილნი გახლავან, „ნიადან ადგილი არ არის მრავალი საათი გაატარო ზედიზედ საპეკთან, როცა პასუხსაგებ დავალებას ასრულებს.

**— ახლა ერთ-ორ სიტყვას ეკონომიკურ საკითხებზე. ბევრ ადგილზე ამბობენ, ეს ძვირი ჯდებაო. ეს ეხება ასევე ვერტმფრინავებსაც. ეს ასეთი ფრენა ბევრ ფულს ითხოვს. ეს ასეთი ფრენა ბევრ ფულს ითხოვს. ეს ასეთი ფრენა ბევრ ფულს ითხოვს

ხალხის სამსახურში

20 ათვისტო სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეა

სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღე საბჭოთა ხალხის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი და ტრადიციული დღესასწაულია. თვითეული ჩვენთაგანი სამართლიანად ამაყობს სამამული სამხედრო და სამოქალაქო ავიაციის მიღწევებით. ამ დღესასწაულს განსაკუთრებით აღნიშნავენ სამოქალაქო ავიაციის მუშაკები.

ჩვენი ქვეყნის მიღწევებმა ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში საშუალება მისცეს აეროფლოტს აღეჭურვილი იყოს პირველხარისხოვანი ჩქარმავალი თვითმფრინავებით. ამჟამად ლენინის ორდენოსანი აეროფლოტი ერთ-ერთი ყველაზე დიდი საავიაციო-სატრანსპორტო საწარმოა მსოფლიოში.

ავიაციის ვეტერანებს ახსოვთ დრო, როდესაც თვითმფრინავის გამოჩენა მსხვილ დასახლებულ პუნქტებშიც კი საოცრებას წარმოადგენდა. ახლა კი საჰაერო ტრანსპორტი მასობრივ მოვლენად გადაიქცა. ამ სიკეთით სარგებლობენ მილიონობით ადამიანები.

დღეს სამოქალაქო ავიაცია მხარში უდგას სოფლის მეურნეობის მუშაკებს, მშენებლებს, მეზღვაურებს, გეოლოგებს, მეთევზეებს, სწავლულებს.

საქართველოს ავიაცია, რომელიც ჩვენი ქვეყნის ერთიანი სატრანსპორტო სისტემის შემადგენელი ნაწილია, უკვე 40 წელზე მეტია უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებებს.

მკაცრი გამოცდა ჩაბარეს ქართველმა სამოქალაქო მფრინავებმა დიდი სამამულო ომის წლებში. მათ ფასდაუდებელი დახმარება გაუწიეს ამიერკავკასიის ფრონტის მამაც ჯარებს კავკასიის დაცვაში, მარხისა და მთავარი კავკასიონის სხვა უღელტეხილების დაცვაში.

ომისშემდგომ წლებში ავიაცია საქართველოში უფრო პოპულარული გახდა, იგი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვან დარგად გადაიქცა. საქართველოს ავიატორებმა ერთ-ერთმა პირველებმა ათვისეს თვითმფრინავი ტუ-104. სამოქალაქო ავიაციის საქართველოს სამმართველო აღჭურვილია ტურბორეაქტიული თვითმფრინავებით, მართვის უახლესი რადიოტექნიკური საშუალებებით.

ახლა ჩვენი რესპუბლიკის რუკა დაფარულია საჰაერო ხაზების მჭიდრო ქსელით. თბილისის აეროპორტიდან თანამედროვე საჰაერო ლაინერები მიემართებიან მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, მინსკში, ტაშკენტში, ნოვოსიბირსკში, რიგაში, ტალინში, ოდესაში, სიმფერეპოლში, სვერდლოვსკში, კუიბიშევში, ვოლგოგრადში, პერმში და ჩვენი ქვეყნის ბევრ სხვა ქალაქში.

საჰაერო კავშირი მოქმედებს თბილისსა და რესპუბლიკის რაიონულ ცენტრებს შორის.

გასულ ხუთწლედში მგზავრთა გადაყვანის გეგმა გაიზარდა 1,9 პროცენტით, ფოსტისა — 17,7 პროცენტით, ტვირთისა — 22,4 პროცენტით. ხუთწლედის განმავლობაში ათვისებულია თვითმფრინავები „ტუ-124“, „ან-24“, ვერტმფრენები „მი-2“ და „მი-8“, რეკონსტრუირებულია აეროდრომები ქუთაისსა და ბათუმში თვითმფრინავების „ტუ-104“, „ილ-18“ და „ტუ-124“ მისაღებად, ხუთწლედის მანძილზე ჩვენ არ გვყოლია წამგებიანი საწარმო. სამმართველოს მომგებიანობა შეადგენს 44,6 პროცენტს.

ხუთწლედში აშენებულია 18 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ეს იმდენია, რამდენიც ჩვენი სამმართველოს არსებობის მთელ მანძილზე. ამ წლებში ექსპლოატაციაში შვიდა აეროვაგზალი და პერონი ქუთაისში, საერთო საცხოვრებელი, საბავშვო ბაღი, პიონერთა ბანაკი სოხუმში და სხვ.

მნიშვნელოვნად გაიზარდა საავიაციო-ქიმიურ საშუალებათა ხვედრითი წონა. ჩვენს რესპუბლიკაში და მეზობელ რესპუბლიკებში ხუთწლედში დამუშავებული იყო 3.163.278 ჰექტარი. დღეს საქართველოს საკოლმეურნეო მინდვრების მშრომელები სიყვარულით ლაპარაკობენ თავიანთი ფრთოსანი მეგობრების შესახებ, რომლებიც მათ მხარში უდგანან. უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში.

გადაუდებელი საქმიდან დახმარება გნებავთ, გეოლოგიური ძიება, მწყემსების მომსახურება მაღალმთიან საძოვრებზე თუ სეტყვის წინააღმდეგ მებრძოლ თათვის დახმარება, ყველგან შეაქვთ ფრთოსან მეგობრებს თავიანთი წვლილი.

თავისი მიღწევებით ჩვენი სამმართველოს კოლექტივმაც შეიტანა სათანადო წვლილი საყოველთაო სახალხო ბრძოლაში საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის.

მფრინავების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და ავიაციის სხვა სპეციალისტების შრომამ მთავრობის მაღალი შეფასება დაიმსახურა. საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მერვე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ავიაციის მუშაკების დიდი ჯგუფი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

დაჯილდოებულთა შორის საქართველოდან არიან: ლენინის ორდენით — მფრინავი გიორგი ქურციკიძე, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით — მფრინავი ვიქტორ პეტროვი. სხვა ორდენები და მედლები მიიღო მრავალმა ჩვენმა ავიატორმა.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებმა სხვებთან ერთად საქართველოს ავიატორთა წინაშე დიდი ამოცანები დასახა. ახალ ხუთწლედში ჩვენი რესპუბლიკის სამოქალაქო ავიაცია აითვისებს ახალ თვითმფრინავებს „ტუ-134“, „ტუ-154“, „იაკ-40“. ეს უკანასკნელი ჩვენმა სამმართველომ უკვე მიიღო.

1975 წელს უნდა გადავიყვანოთ 3 მილიონამდე მგზავრი, რაც 1,8-ჯერ მეტი იქნება, ვიდრე 1970 წელს. გადავიტანთ 4 ათას ტონა ფოსტას, 12 ათას ტონა ტვირთს, დავამუშავებთ 770 ათას ჰექტარ მიწას.

ახალ ხუთწლედში აშენდება ბევრი ახალი ობიექტი. მაგალითად, ამ ცოტა ხანში გაიხსნება ახალი აეროვაგზალი ცხინვალში, შემდგომ სოხუმში, ქუთაისში. მალე თბილისსა და ქუთაისს შორის დაიწყება რეგულარული მიმოსვლა თვითმფრინავ „იაკ-40“-ით, აშენდება ბევრი საცხოვრებელი სახლი, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, სასტუმროები, აეროვაგზალი და სხვ.

1973 წლის თებერვალში აეროფლოტს უხარულდება 50 წელი. ეს ჩვენი დიდი დღესასწაულია. მის შესახვედრად უკვე გავშალეთ სათანადო მუშაობა, შემუშავებული გვაქვს გეგმა, შექმნილია სპეციალური კომისია.

პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ბევრად გაიზარდა კომუნისტების აქტივობა, განმტკიცდა დისციპლინა, საქართველოს ავიატორები ცდილობენ შეასრულონ მათ წინაშე დასახული ამოცანები.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენი ავიატორები შრომითს ვახტზე დგანან და იბრძვიან იმისათვის, რომ სასახელო მაჩვენებლებით შეხვდნენ სახელოვან იუბილეს — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

ი. სამადლაშვილი,
საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსი, სოციალისტური შრომის გმირი.



საბჭოთა საჰაერო ფლოტის წარმატებებში ღირსეული წვლილი შეაქვთ თბილისელ ავიატორებს. ივლისის გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით მათ 107 პროცენტით შეასრულეს. სურათებზე: რაზმის მეთაურმა მფრინავმა კუკური კურტანიძემ 20 წლის მანძილზე პირველ დაფრინა 12 ათასი საათი, იფრინა 2 მილიონი კილომეტრი (ქვემოთ); სადისპეტჩერო პუნქტი. სამსახურს ეწევა დისპეტჩერი სტანისლავ იაკუშევი (ზემოთ); შტურმანთა ოთახი. პირველი კლასის შტურმანები (მარცხნიდან მარჯვნივ): დურმიშხან თიბილავშვილი, ბორის ჩაჩიბაია, ვლადიმერ გრიგორიევი, მფრინავი ვიქტორ პოხომარენკო, შტურმანი — სტაჟიორი ალბერტ კაკენაში და შტურმანი გარი ჭანტურია ფრენისწინა საშტურმანო მზადებისას (ზუაში).
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კვლავაც დამკვრელურად

ვაღამდე ჩაღდება მყუოგბრში ვეტროპოლიტენის ახალი უბანი — ასეთია გვირაბმშენებელთა ვალდებულება

მეტად სერიოზული ამოცანების წინაშე დგანან თბილისელი მეტრომშენებლები. ხუთწლედის ბოლოს საეპსპლოატაციოდ უნდა გადასცენ დედაქალაქის მეტროპოლიტენის მეორე რიგი. როგორც ცნობილია, ახალი მიწისქვეშა ხაზი წარმოადგენს მეტროპოლიტენის პირველი რიგის გაგრძელებას სადგურ „ვაგზლის მოედნიდან“ ვაკე-საბურთალოს შემაერთებელ მაგისტრალამდე. ექვს კილომეტრამდე სიგრძის ტრასაზე განლაგდება 4 მიწისქვეშა სადგური — „წერეთლის პროსპექტი“, „პოლიტექნიკური ინსტიტუტი“, „კომკავშირული“ და „ღელისი“. აღნიშნული ხაზი ძირითადად საბურთალოს რაიონის მოსახლეობას მოემსახურება. მშენებლობისათვის გამოყოფილია 50 მილიონამდე მანეთი. ეს ციფრი ნათლად მეტყველებს, თუ რაოდენ გრანდიოზული სამუშაოები აქვს შესასრულებელი თბილისელ კოლექტივს. მშენებლობა დაყოფილია ცალკეულ უბნებად. „ვაგზლის მოედნიდან“ პეკინის ქუჩამდე გვირაბების გაყვანა იწარმოების ე. წ. „დახურული წესით“, ხოლო შემდეგ „ღიად“ გაგრძელდება.

მეტროპოლიტენის ახალი მაგისტრალის მშენებლობაზე ძირითადად გამოყენებული იქნება ახალი ტექნიკა, მძლავრი მექანიზმები. ამ უბანზე იმუშავებს ცნობილი მექანიზებული ფარი — „105 თბილისელი“, რომელსაც წარმატებით იყენებდნენ მეტროპოლიტენის პირველი რიგის მშენებლობებზე, ამასთან აქ ორი ახალი მექანიზებული ფარიც იმუშავებს. ტექნიკური პროგრესის დანერგვა, კომპლექსური მექანიზაციის განხორციელება დიდად შეუწყობს ხელს სამუშაოების შემჭიდროებულ ვადებში დამთავრებას.

უკვე დიდი მოცულობის სამუშაოებია ჩატარებული. ზოგიერთი უბანი შეუდგა გვირაბების გაყვანას როგორც დახურული, ისე ღია წესით. მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, და მიწისქვეშა მაგისტრალების მშენებლებიც თავდადებით შრომობენ, რათა ფართიდ გაიშალოს სამუშაოთა ფრონტი.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელების, დავალებათა პირნათლად განაღდების საქმეში ავანგარდის როლს ასრულებენ კომშენისტები. თბილისელმა გვირაბმშენებლებმა 104 პროცენტით შეასრულეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ნახევარი წლის გეგმა და კვლავ ენერგიულად იბრძვიან მიღწევათა განმტკიცებისათვის.

სამშენებლო ობიექტებზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას, მის ქმედითობას, ამ საქმეში ახალი ფორმების დამკვიდრებას. ცალკეულ ბრიგადებს, სამშენებლო უბნებსა და სამეურნეო ერთეულებს შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება. თვითეულ ბრიგადასა და წევრზე გახსნილია სოცშეჯიბრების მონაწილის პასპორტი, რომელშიც ცალკეულ გრაფებად შეტანილია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის საწარმოო გეგმის განაღლება, შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის შეფასება, სამშენებლო მასალების მომჭირნეობით ხარჯვა, შრომის ნაყოფიერების ზრდა, იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება და სხვ. ამ პასპორტების მეშვეობით ხდება შეჯიბრების შედეგების ყოველთვიური შეჯამება, შემდეგ კი სამმართველოს მასშტაბით ჯამდება მონაცემები და გამარჯვებულ კოლექტივს გადაეცემა გარდამავალი დროშა და ფულადი პრემიები. მორალური და მატერიალური სტიმულირების ამგვარი ფორმის ქმედითად გამოყენება ხელს უწყობს საერთო საქმის წინსვლას.

კარგი ინიციატივის მოთავენი გახდნენ თბილგვირაბმშენის № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის № 21 შახტის კომუნისტები და აქტივისტები. მათ სსრ კავშირის შექმნის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად გაზრდილი ვალდებულება იკისრეს და გადაწყვიტეს იბრძოლონ კომუნისტური შრომის უბნის სახელის მოსაპოვებლად. № 21 შახტი ერთ-ერთი დიდი სამშენებლო ობიექტია. ამ კოლექტივს, რომელსაც გამოცდილი ინჟინერი ვ. ზიბზიბაძე ხელმძღვანელობს, არაერთხელ უსახელებია თავი მეტროპოლიტენის პირველი რიგის მშენებლობაზე. ამჟამაც პასუხსაგები საქმე აკისრია შახტის კოლექტივს. უნდა ააგოს სადგურ „წერეთლის პროსპექტის“ ზედა და ქვედა ვესტიბიულები, დახრილი გვირაბი ესკალატორებისათვის, 1.580 მეტრი საერთო სიგრძის გადასარბენი გვირაბები.

დიდძალი სამუშაოები შეასრულეს რ. ნადარაიამ, გ. ლეკვეიშვილის ლენინური და გ. მესხის, ზ. ფორჩხიძის, ე. ქრისტესაშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადების წევრებმა ჯ. გიორგობიანმა, ბ. ზამბახიძემ, ი. ჯუბაძემ, გ. კერესელიძემ, ვ. სოხაძემ, ო. ბრეგვაძემ, ა. გოკსაძემ, ნ. იარდალაშვილმა. მათ წარმატებით ჩაატარეს მოსამზადებელი სამუშაოები, ააგეს სამთო კომბალესი, დაიწყეს გვირაბის სანგრევადე მისასვლელი წოლხვრელების გაყვანა, გასანიავებელი სისტემის მოწყობა, დახრილი გვირაბის მშენებლობა, ნიადაგის გამყინავი სადგურის აგება და სხვ.

№ 21 შახტის კოლექტივის ინიციატივა მოიწონეს თბილგვირაბმშენის სამშენებლო უბნების კოლექტივებმა. გაჩაღდა ბრძოლა კომუნისტური შრომის უბნის წოდების მოსაპოვებლად. თავდადებულ, შემოქმედებითი საქმიანობა ამის საწინდარია, რომ თბილისელი მეტრომშენებლები წარმატებით გაართმევენ საქმეს თავს და მეცხრე ხუთწლედის ბოლოს მწყობრში ჩააყენებენ ახალ მიწისქვეშა მაგისტრალს.

ჯ. კობაძე,
გაზეთ „მეტრომშენებლის“ რედაქტორი.

• • •

სურათზე: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილგვირაბმშენის მებეტონეთა ბრიგადის ხელმძღვანელი ა. დათაშვილი, რომელიც ამჟამად სადგურ „ღელისის“ მშენებლობაზე მუშაობს და ცვლის დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

ვ. ბენბიურის ფოტო.

საშვილიშვილო საქმე

თეთრი წყაროს რაიონში საჭიროა გაიხსნას მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

თეთრი წყაროს რაიონის დღევანდელი ვითარებაც და შორეული წარსულიც იმის ღრმსია, რომ ჰქონდეს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება — მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

რაიონს აქვს მთელი რიგი მიღწევები, რომელთა გამოტანა სამუზეუმო ექსპოზიციაზე კიდევ უფრო ამაღლებს მისი მშრომელების სიამაყის გრძნობას და დარაზმავს მათ ახალ-ახალი წარმატებებისათვის.

გარდა ამისა, რაიონი მდიდარია სამშენებლო, მოსამპრკეთებელი და სხვა სახის ქვის მასალით. საძიებო გეოლოგიური პარტიების მუშაობის წინასწარი შედეგები მოწმობენ, რომ ჩვენთან პერსპექტიული სახე უჩანს ფერადი ლითონების საბადოებს და სხვ. ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობს ტყის მდიდარი მასივების დაცვისათვის, ნორმალური ექსპლოატაციისა და უტყეო ადგილების გამწვანებისათვის.

ჩვენი რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობს ხელოვნების ისეთი ობიექტი ძეგლები, როგორიც არის ფიტარეთის, გუდარეხის, პირღებულის, მანგლისის სიონის, კაბენის ტაძრები, ნადარბაზვი და სხვ. ქართველი ერის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში არაერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს ჩვენი რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულმა ისეთმა ციხე-სიმაგრეებმა, როგორიც არის ბირთვისი, ფარცხისი, კლდეკარი და სხვ.

რაიონში წინა პლანზეა წამოწეული სწავლა-განათლების საქმე. დღეისათვის ჩვენთან მუშაობს 63 სრული და არასრული საშუალო სკოლა 8.560 მოსწავლით, მათ ემსახურება 677 მასწავლებელი. ვვაყავს სახელოვანი ადამიანები . 8 კაცი სოციალისტური შრომის გმირია. ჩვენი რაიონის მკვიდრი იყო ცნობილი ქართველი მწერალი ვ. ბარნოვი, სოციალური პროგრესისათვის მებრძოლი სახლხო გმირები არსენა ჯორჯიაშვილი და არსენა მარაბდელი.

ისევე, როგორც საბჭოთა ქვეყნის სხვა ხალხებმა, თეთრი წყაროს რაიონის მშრომელებმაც დიდი წვლილი შეიტანეს სამამულო ომის წარმატებით დამთავრებაში. ჩვენგან ომში 5.828 კაცი მონაწილეობდა, აქედან საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა ორ მებრძოლს, ხოლო ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია მებრძოლთა მნიშვნელოვანი ნაწილი.

თეთრი წყაროს რაიონი ცენტრალური თემი იყო ისტორიული ქვემო ქართლისა, რომელიც ფეოდალურ ეპოქაში მოწინავე დროშის სახელს ატარებდა. მის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურული მშენებლობის ბევრი ეპიზოდი. თეთრი წყაროს რაიონის ტერიტორიაზე დიდი ბრძოლები აქვს გადახდილი დავით აღმაშენებელს, გიორგი საკაძეს და ქართველი ერისათვის ბევრ სხვა თავდადებულ სარდალსა და მეფეს.

სამშობლოსათვის თავდადების ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს ცხოა ძმა ხერხეულიძის გმირობა, რომელებიც თავის დედასთან ერთად დაეცნენ მარაბდის ომში 1625 წელს და რომელთა უკვდავსაყოფად მათს საფლავზე აღმართულია სპპატიო ობელისკი. აქაური მშრომელები ხელმეორედ აშენებენ მტრისაგან გაპარტახებულ სოფლებს, ციხე-სიმაგრეებსა და კულტურულ ძეგლებს.

არქეოლოგიური გამოკვლევის შედეგები მოწმობენ, რომ თეთრი წყაროს რაიონი და მისი უშუალო გაგრძელება წალკა წარმოადგენდა წინაფეოდალური ქართული კულტურის ფრიად მნიშვნელოვან კერას, აქ აღმოჩენილია V-IV საუკუნეების უნიკალური სამარხები, ინვენტარი, ოქროს და ვერცხლის მხატვრული ხელობის ბეჭრი ნივთი.

როგორც ცნობილია, მსოფლიო სახელი მოიხვეჭა თრიალეთის კულტურამ. ამავე რაიონში არქეოლოგიური გთხრების შედეგად აღმოჩენილ იქნა მაღალი მხატვრული გემოვნებით დამზადებული ოქროსა და ვერცხლის ჯურჭელი, ნაირნაირი სამკაულები, აგრეთვე ქართული მოხატულობით შემკული კერამიკა. ამ კულტურის ფესვების ძიებამ მეცნიერები მიიყვანა თეთრი წყაროს რაიონში, და სწორედ 1967-68 წლებში არქეოლოგებმა მიაკვლიეს ბედნის გორა-სამარხს, რომლის გათხრის შედეგადაც აღმოჩენილ იქნა მანამდე უცნობი ტიპის ხის აკლდამის დიდი ნაგებობა, სადაც იპოვეს უნიკალური ნივთები.

ამრიგად, თეთრი წყაროს რაიონი წარმოადგენს ქვემო ქართლის მთიანი თრიალეთის მხარეს, სადაც შემონახული არის ქართველ ტომთა დიდი ისტორიის ამსახველი მასალები.

ამ და სხვაგვარი საკითხების გაშუქებისათვის კარგად შერჩეული და მუზეუმის კარადებში გამოფენილი მასალები დიდ შთაბეჭდილებას მოახდენენ მნახველებზე და მხარეში ამოუდგებოდნენ როგორც მოსწავლე ახალგაზრდობას, ისე უფროსი თაობის ადამიანებს საკუთარი კუთხის და ქართველი ერის მრავალსუკუნოვანი კულტურისა და სახელოვანი ისტორიის შესწავლაში.

სწორედ ამიტომაც ძალიან დასანანია, რომ თბილის-თრიალეთის მაგისტრალზე დღემდე არ არსებობს მხარეთმცოდნეობის არც ერთი მუზეუმი.

საქართველოს კომპარტიის თეთრი წყაროს რაიკომმა 1964 წელს ი. ჯაეახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მუშაკების დახმარებით რაიონის პროპაგანდის სახლთან სიზოგადოებრივ საწყისებზე მოაწყო მხარეთმცოდნეობის მუზეუმის პირველი ჩანასახი, რომელშიც გამოფენილია ძვირფასი მასალები, მაგრამ მცირე რაოდენობით.

ჩვენი აზრით კარგი იქნება, თუ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო გაითვალისწინებს თეთრი წყაროს რაიონის მშრომელთა კანონიერ მოთხოვნას და დაგეგზავნა რაიონში სამხარეთმცოდნეო მუზეუმის ჩამოყალიბებასა და სრულყოფაში.

ი. ელოუვილი,
საქართველოს კპ თეთრი წყაროს რაიკომის პირველი მდივანი.

„კომუნისტის“ ფოსტიდან

● **თელავი.** ცივგომბორის უღელტეხილზე დილის ხიუმეს პირველნი გზისმშენებლები არღვევენ. მანქანების გუგუნით იწყება და მთავრდება შრომით სავსე დღე. სწრაფად იზრდება გზის შავი ზოლი.

აქ მომუშავე მშენებლები მთელი შესაძლებლობით იბრძვიან იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულონ საიუბილეო წელს აღებული ვალდებულებები. გზის მშენებლობას აწარმოებს თელავის მეორე საგზაო-საექსპლოატაციო უბანი.

ლ. ნატროშვილი.

● **ჰიაშურა,** ქალაქის სამხრეთით მდებარეობს ბუნებრივი გამოქვაბული ბით განთქმული სოფელი სვერი. მისი ერთ-ერთი დიდი გამოქვაბული „კლდეკარი“ წინათ-მნახველთათვის მისაწვდომი იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში გამოქვაბულში შესასვლელი მუსისაგან გაკეთებული ხიდი ჩატყდა და ორი ათეული წელია, რაც იქ შესვლა მეტისმეტად გაძნელდა.

ამ დღეებში სოფლის გულშემატკივრებმა — ნიკოლოზ, გურამ, გრიგოლ, მიხეილ, ოთარ, სიმონ ცუცქირიძეებმა, აკაკი ღუღუნიშვილმა და დურმიშხან გაფრინდაშვილმა სასოფლო საბჭოს აღმასკომისა და სკოლის ხელმძღვანელთა დახმარებით ციცაბო კლდეზე გააკეთეს რკინის ხიდი, რომლითაც შეიძლება გამოქვაბულში ასვლა, კეთილმოწყეს მისასვლელი გზაც.

ა. ფუფლაძე.

კადამიანი და კანონი

ზრუნვის კანონმდებლობა

სახელმწიფოს, ხალხის ინტერესები — უპირველეს ყოვლისა!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1970 წლის 15 ივლისს დაამტკიცა კანონი „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლები“, რომელიც მოქმედებაში შევიდა 1971 წლის პირველი იანვრიდან.

შრომის კანონმდებლობის საფუძვლების მიღება უდიდესი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ვ. ი. ლენინი 1918 წელს რსფსრ შრომის კანონთა კოდექსის მიღებას საბჭოთა ხელისუფლების უდიდეს გამარჯვებას უწოდებდა.

შრომის კანონმდებლობის სწორად გატარებას ჩვენში ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. მეუხედავად ამისა ჯერ კიდევ ადგილი აქვს შრომის კანონმდებლობის დარღვევის სერიოზულ ფაქტებს. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საქართველოში მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან კანონის დარღვევით განთავისუფლების ფაქტები საკრძნობლად დიდია. ამაზე მიუთითებს სტატისტიკური მონაცემები. მაგალითად, 1969 წელს სასამართლოებმა დაკმაყოფილეს სამუშაოზე აღდგენის სარჩელების 72,2 პროცენტი, 1970 წელს — 70,9 პროცენტი, 1971 წელს — 72,4 პროცენტი. თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა 1972 წლის პირველ ნახევარში. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი წარმოება-დაწესებულებების, უწყებებისა და სამინისტროების ხელმძღვანელების მიერ სამუშაოდან კანონის უხეში დარღვევით არის დაფხვნილი ასიდან 72 კაცი.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა წელს ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი იმ მდგომარეობას, რომ, მიუხედავად ცენტრალური კომიტეტის არაერთი დადგენილებისა, სამუშაოდან მუშა-მოსამსახურეთა უკანონოდ განთავისუფლების ფაქტები კვლავ დიდია, ხოლო რესპუბლიკის სასამართლო-პროკურატურის ორგანოები არ აწარმოებენ აქტიურ ბრძოლას შრომის კანონმდებლობის დამრღვევთა მიმართ, არ აკეთებენ დისციპლინარულ, პარტიულ და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხს სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც პერსონალურად პასუხს აგებენ შრომის კანონმდებლობის სწორად გატარებაზე.

შრომის კანონმდებლობის დარღვევას უდიდესი ზიანი მოაქვს ჩვენი სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებისათვის. იმ დროს, როდესაც ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგი მუშახელის ნაკლებობას განიცდის, ასობით ადამიანი თვითობით მოწყვეტილია სოციალისტური მშენებლობის უბნებს, მათი სამართლიანი საჩივრების გადაწყვეტისათვის ათასობით სასამართლო საათები იკარგება სათანადო ორგანოებში. ასეთივ ათასობით განსაზღვრება ის თანხები, რომელსაც პროფკავშირები და სასამართლო ორგანოები უნაზღაურებენ განაცდურის სახით აღდგენის შემთხვევაში იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც თანამდებობის პირების უკანონო მოქმედების შედეგად მოწყვეტილი იყვნენ შრომით საქმიანობას. ყველაზე მთავარია ის აუნაზღაურებელი მორალური ტრავმა და ზიანი, რასაც სამუშაოდან უკანონოდ განთავისუფლებული მუშებსა და მოსამსახურეებს და მათს ოჯახებს აყენებენ.

შრომის კანონმდებლობის ამ დარღვევებს სჩადიან მხოლოდ და მხოლოდ თანამდებობის პირები, საწარმო-დაწესებულებათა, ეკონომიკებისა და სამინისტროთა ზოგიერთი ხელმძღვანელები, რადგან ბრძანებებს მხოლოდ თანამდებობის პირები წერენ. შეიძლება ითქვას, რომ შრომის კანონმდებლობასთან დაკავშირებული ბრძანებების 50 პროცენტი ჩვენთან კანონის დარღვევით იწერება.

შრომის კანონმდებლობა კატეგორიულად მოითხოვს ბრძანებაში იყოს მითითებული კანონის ზუსტი ნორმა, რომელსაც ემყარება ბრძანება. ამ ნორმას ძალიან ხშირად არ იცავენ.

რით უნდა აიხსნას კანონის ასეთი დარღვევები ჩვენთან იმ დროს, როდესაც რესპუბლიკაში იერიდიული კადრები ძალიან ბევრია? კანონის დამრღვევი თანამდებობის პირები შეიძლება ორ ჯგუფად გავყოთ. პირველი, რომელიც კანონის ნორმის შესრულებას, კანონისადმი დამორჩილებას მათი პატივმოყვარეობისა და ღირსების შეგახვიდ არ თვლიან. მათ კიდევ უნდა შეეახსენოთ ამბ. ლ. ი. ბრეჟნევის მითითება, რომ კანონის შესრულება სავალდებულოა ყველასათვის, მიუხედავად ჩინისა, დამსახურებისა და თანამდებობისა. კანონის წინაშე ყველა თანასწორია.

მეორე კატეგორიის თანამდებობის პირები თვლიან და აცხადებენ, რომ მათ კანონი დაარღვიეს არა პირადი ინტერესებისათვის, არამედ დაწესებულების, სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებისათვის. მათ ავიწყდებათ, რომ ვინც კანონს არღვევს, ის არ შეიძლება სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარეობდეს. კანონი და ხალხის ინტერესები ერთიანნია. ვინც კანონს არღვევს, ის სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებს, ამიტომ იყო, რომ ვ. ი. ლენინი კატეგორიულად მოითხოვდა კანონის დამრღვევისა სასტიკ დასჯას, კანონის დამრღვევთ სისხლის სამართლის დანაშაულებად თვლიდა და მოითხოვდა მათს გასამართლებას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144 მუხლი პირდაპირ მიუთითებს შრომის კანონმდებლობის დამრღვევთა პასუხისმგებლობაზე და მათთვის სასჯელის სერიოზული ღონისძიება არის გათვალისწინებული. სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის სასამართლო და პროკურატურის ორგანები დანაშაულებრივ უმოქმედობას ხჩადიან, როცა რესპუბლიკაში შექმნილ მდგომარეობას არ ითვალისწინებენ და ასეთი დანაშაულის გამო პასუხისგებაში მიეცემულ პირთა რაოდენობა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ერთეულებით განისაზღვრება.

წყალტუბოს კურორტთა სამმართველომ შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევით სამუშაოდან გაათავისუფლა 22 საშუალო მედპერსონალი. სასამართლო ორგანოებმა ისინი აღადგინეს სამუშაოზე. რაიონულ ხელმძღვანელობას და პირველ რიგში პროკურატურას არავითარი ღონისძიება არ გაუტარებია შრომის კანონმდებლობის დარღვევაში დამნაშავე პირთა მიმართ.

სამუშაოდან განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ პროფკავშირთა ადგილობრივი კომიტეტების წინასწარი თანხმობითა და სანქციით. აქ არაფერია გასაკვირველი — მუშათა ქვეყანაში მუშათა შრომითს ბედს მუშათა ორგანოები წყვეტენ. ეს დიდი ოქტომბრის მონაპოვარია, შრომითი უფლებების კონსტიტუციური დაცვა. მეუხედავად ამისა, რესპუბლიკამი სამუშაოდან დათხოვნილი პირების ერთი დიდი ნაწილი განთავისუფლებული იყო კანონის უხეში დარღვევით პროფკავშირებთან წინასწარ შეუთანხმებლად. თბილისში სამუშაოდან განთავისუფლების შემთხვევათა 51 პროცენტი არ იყო შეთანხმებული წინასწარ ადგილობრივ კომიტეტებთან.

მოქალაქე ლეონიდა საფონიაქო სამმართველომ გაათავისუფლა ადგილკომთან შეუთანხმებლად. ასევე ოთარაშვილი (ეკაკაშვილის მარნეულის დამზადების ბაზიდან) გაათავისუფლეს ადგილკომთან შეუთანხმებლად. ანალოგიური დარღვევებით იყვნენ განთავისუფლებული პაპაშვილი და ფოფხაძე საგალანტერეო ბაზიდან, აშპარიანი — თბილისელბოსტანეულბრობიდან, ბერეგოვი მაღაზია „ბავშვთა სამყაროდან“, მოქალაქე ბაქრაძე საჩხერის საწარმოო კომბინატიდან, მოქალაქე ასპბარიანი ათონის ეკონომიკურ ბაზიდან და სხვ. სასამართლოებმა სამუშაოზე აღადგინეს უკანონოდ მოხსნილი მუშაკები, აუნაზღაურეს მათ კანონით გათვალისწინებული სამი თვის განაცდური. სამოქალაქო სასამართლოს საპროცესო კოდექსის 39 მუხლის საფუძველზე ამ განაცდურის სახით მუშაკებზე გაკეთებული თანხებიც დაუბრუნეს. ეს ფაქტები იმ თანამდებობის პირებს, რომლებმაც უკანონო ბრძანება დაწერეს.

შრომის კანონმდებლობა სასტიკად უნდა დავიცვათ. საჭიროა უპირველეს ყოვლისა კანონი შეისწავლოს ყველამ და იგი ცხოვრებაში გაატაროს. კანონის შესწავლისა და მისი დაცვის პროფილაქტიკის მხრივ მისაბაძია ქუთაისის, თბილისის ოქტომბრის, ორჯონიკი

ამ ერთ კვირაში

საკლესიო მიმოხილვა

6 ინასაარჩევნო კამპანია ამერიკის შეერთებულ შტატებში გადამწყვეტ ფაზას უახლოვდება. 21 აგვისტოს მაიამი-ბიჩში (ფლორიდის შტატი) გაიხსნება მმართველი რესპუბლიკური პარტიის ყრილობა. იქ უკვე ჩავიდნენ ნიქსონის მთავრობის ბევრი მინისტრი და ხელმძღვანელი პარტიული მოღვაწენი. ისინი მონაწილეობენ პოლიტიკური პლატფორმის პროექტის განხილვაში, რომლითაც რესპუბლიკელები გამოვლენენ პრეზიდენტის არჩევნებში.

ამერიკული პრესის აზრით, მმართველი პარტიის წინასაარჩევნო პროგრამის შემოქმედთა ამოცანა ადვილი როდია. დემოკრატიული ოპოზიციის ლიდერთა უკანასკნელმა გამოსვლებმა გვიჩვენეს, რომ ისინი აპირებენ სრული ასი პროცენტით გამოიყენონ ამერიკელი ხალხის ფართო წრეების უკმაყოფილება ვიეტნამის გაჭიანურებული ომის გამო. ასეთ პირობებში რესპუბლიკელები მანევრებს მიმართავენ. მართალია, წინასაარჩევნო პლატფორმის მოსამზადებელი კომისიის სხდომაზე თავმჯდომარე ლირდი ყოველნაირად მოითხოვდა ომის „ვიეტნამიზაციის“ გაკოტრებული კურსის განგრძობას, მაგრამ სენატორმა ჯავიტსმა მოითხოვა, რომ პროგრამაში ჩაეწერათ ვალდებულება — ამერიკამ გამოიყვანოს მთელი ჯარები ვიეტნამიდან, მათ შორის სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალები.

თუ რესპუბლიკელებს უჭირთ „ვიეტნამის ბორკილის“ მოშორება, დემოკრატებს თავიანთი პრობლემები აქვთ. მათ უწინარეს ყოვლისა ბოჭავს დიდი განხეთქილება თავიანთ რიგებში. მოღვაწეთა ჯგუფი, რომელიც არ ეთანხმება მაკგოვერნის შეხედულებებს, პრაქტიკულად ჩამოშორდა პარტიას და შექმნა კომიტეტი „დემოკრატები მხარს უჭერენ ნიქსონს“, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ყოფილი ფინანსთა მინისტრი ჯ. კონელი.

მაკგოვერნის კანდიდატურა მიუღებელი აღმოჩნდა ამერიკის შრომის ფედერაციის-საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის უდიდესი პროფკავშირული გაერთიანების მემარჯვენე ლიდერების მესვეურებისთვისაც, რომელიც წინათ უცვლელად უჭერდა მხარს დემოკრატებს. ასეთ პირობებში დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობას თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია მაქსიმალურად შეაკავშიროს მომხრენი და მიიმხროს ცალკეული პროფკავშირები. ახლა მაკგოვერნს მხარი დაუჭირა 23 დარგობრივმა პროფკავშირმა, რომლებიც 6,5 მილიონზე მეტ კაცს აერთიანებენ. რ. ნიქსონს მხარი დაუჭირა ორმა პროფკავშირმა, რომლებიც 2,1 მილიონ წევრს აერთიანებენ.

შუთმეტ აგვისტოს ჩრდილოეთ ირლანდიაში აღინიშნა სამწუხარო „იუბილე“. ამ დღეს შესრულდა ზუსტად სამი წელი, რაც ოლსტერში „კანონიერებისა და წესრიგის აღდგენის“ საბაბით დაიწყო ინგლისის საოკუპაციო არმიის პირველი რაზმების გაგზავნა, ოლსტერის „დაშოშმინების“ სამი წლის განმავლობაში საოკუპაციო არმია ერთისამად გაიზარდა და ახლა 21 ათასს შეადგენს.

ბრიტანელმა ჯარისკაცებმა მოაწყვეს ათობით სადამსჯელო ექსპედიცია, რომელთა შედეგად დახოცილი და დაჭრილია ასობით ადამიანი, ათასობით კაცი დამწყვდეულია საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში. ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქების კათოლიკური უბნების წინააღმდეგ უკანასკნელ შეტევაში მონაწილეობდნენ 50-ტონიანი ტანკები, ჯავშნოსანი მანქანები, საარმიო ვერტმფრინავები.

მაგრამ ვერც ჯარისკაცები, ვერც ტანკები, ვერც ჯავშნოსნები ვერ გატეხენ ირლანდიელი ხალხის ნებისყოფას. „სამხედრო გადაწყვეტას“ შეუძლია მხოლოდ ჭაღრმავოს სერიოზული სოციალური სნეულებანი, რომლებიც საფუძვლად უდევს ჩრდილოეთ ირლანდიის კრიზისს. ჯარისკაცები და ტანკები ვერ სპობენ კათოლიკური უმცირესობის სოციალურ და ეკონომიურ უთანასწორობას, უმცირესობისა, რომელიც კვლავინდებურად მოკლებულია ელემენტარულ მოქალაქეობრივ უფლებებს.

ახლა, როცა დარწმუნდა რეპრესიათა პოლიტიკის უნაყოფობაში, ინგლისის მთავრობა მანევრებს მიმართავს. ამას წინათ ლონდონში გამოაცხადეს, რომ ჩრდილოეთ ირლანდიაში მიეწყობა „რეფერენდუმი“ იმის „გამოსარკვევად“, სურს მოსახლეობას დარჩეს ინგლისის სახელმწიფოს შემადგენლობაში, თუ შეუერთდება ირლანდიის რესპუბლიკას.

ლათინური ამერიკის ბატარა სახელმწიფოში — პანამაში დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცების გზაზე, ამერიკის იმპერიალიზმის ბატონობისაგან ქვეყნის განთავისუფლების გზაზე. თემების წარმომადგენელთა კრების ამას წინანდელ არჩევნებში დიდი გამარჯვება მოიპოვეს „ახალი პანამის მოძრაობის“ კანდიდატებმა.

ეს არის ორგანიზაცია, რომელიც მხარს უჭერს გენერალ ომარ ტორიხოსის მთავრობის მიერ წამოყენებულ პროგრამას. გენერალი ომარ ტორიხოსი ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა 1968 წლის ოქტომბრის სამხედრო გადატრიალების შედეგად.

პანამელმა ამომრჩევლებმა მტკიცედ დაუჭირეს მხარი ტორიხოსის მთავრობის ბრძოლას პანამის მთელ ტერიტორიაზე მისი სუვერენიტეტის აღდგენისათვის, სოციალურ გარდაქმნათა პროგრამის განხორციელებისათვის. მთავრობას თავის პირველი რიგის ამოცანად მიაჩნია კაბალური ხელშეკრულების გაუქმება, რომელიც შეერთებულმა შტატებმა მოახვია თავს პანამას ჯერ კიდევ 1903 წელს. ამ ხელშეკრულების თანახმად ამერიკის შეერთებული შტატების სასარგებლოდ ქვეყანას ჩამოაცილეს 1.500 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია პანამის არნის ასგებად. ამის მეოხებით პენტაგონმა ქვეყანაში დაამყარა თავისი პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობა.

თემების წარმომადგენელთა კრებამ, რომელმაც ამომრჩეველთა მანდატი მიიღო, უნდა აირჩიოს პრეზიდენტი, ქვეყნის მთავრობის მეთაური, შექმნას პანამის მუდმივი საკანონმდებლო ორგანო, გადასინჯოს 1964 წლის კონსტიტუცია.

პანამის საგარეო საქმეთა მინისტრი ხუან ანტონიო ტეჯი შეეხო პანამის წინაშე მდგომ პირველი რიგის ამოცანებს და ხაზი გაუსვა, რომ ახალი მთავრობის მთავარი მიზანია მიაღწიოს ნამდვილ ეროვნულ დამოუკიდებლობას, აიძულოს შეერთებული შტატები გაიყვანოს თავისი ჯარები ამ ქვეყნის ტერიტორიიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა „ბუჯეთში“

ზღვის ფსკერზე

იტალიის თითქმის მთელი ხაზღვაო სანაპირო ამ ძველი ხალხების ისტორიის ცოცხალი ფურცლებია, ნახევარკუნძულზე რომ სახლობდნენ ოდესღაც. წყლისა და ქვიშის ქვეშ ერთიდან 30 მეტრამდე სიღრმეზე დევს ნავების და ბარკების ნარჩენები, წყლის ქვეშ არის დამალული მთელი ქალაქები, უძველესი დასახლებები, ამფორები, ჩაძირული ტვირთები, სამკაულები, პრომეთიული ღუზები. აქედან უმეტესობა ოთხი ათასი წლისაა.

ხმელთაშუა ზღვის პირველი არქეოლოგიური აღმოჩენა ლივორნოელმა მეუბადურებმა მოახდინეს მე-18 საუკუნის დასაწყისში. ერთხელ მათს ბადეს ჰომეროსისა და სოფოკლეს ბიუსტები ამოჰყვა. მას შემდეგ არქეოლოგიური მუზეუმები შეივსო ზღვის ფსკერზე ნახული უამრავი უძველესი ექსპონატებით, მათ შორის პპოლონისა და იუპიტერის ბრინჯაოს ქანდაკებებით, მზის ვარსკვლავებისა და პლანეტის მოძრაობის განმსაზღვრელი უძველესი ხელსაწყოთი.

ნახულობენ არა მარტო პროფესიული არქეოლოგები, არამედ წყალქვეშა ცურვის მრავალრიცხოვანი მოყვარულებიც. ისინი ხშირად იტყობინებიან ზღვის ფსკერზე ნავსადგურების, ქალაქების, დასახლებების, ჩაძირული ხომალდების შესახებ.

ყველაზე გავრცელებული ნივთები, რომელსაც ნახულობენ წყალქვეშა ცურვის მოყვარულნი, არის ამფორები, ღუზები, ბურჯელი. გამომწვარი თიხისაგან დამზადებულ ამფორებში ძველი მეზღვაურები ინახავდნენ წყალს, ღვინოს, ზეთს, თესლს, გამომშრალ ხორცს. თუ ამფორა კარგად იყო დახშული, ამ საკონელს ხშირა ჩვენამდეც გაუფუჭებლად მოუღწევია.

ძვირფასი ნაპოვნი

ერაკლის ჩრდილოეთში პატარა სოფელ ბადრასთან ადგილმბრივმა გლეხმა ნახა მარმარილოს სტელა, რომელიც ეკუთვნის მესოპოტამიაში შუმერების ბატონობის პერიოდს. ისტორიული ძეგლების დაცვის დეპარტამენტის დირექტორის დოქტორ ისი სალმანის სიტყვით, არქეოლოგებმა წინასწარი შესწავლის შემდეგ დადგინეს, რომ სტელა დაახლოებით 4.700 წლისაა. იგი გაკეთებული იყო დაახლოებით XXVII საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

სტელა წარმოადგენს ოთხკუთხა პრიზმას. სიმაღლე 95 სანტიმეტრი აქვს, სიგანე — 45 სანტიმეტრი. ოთხივე მხარეზე გამოკვეთილია სკულპტურული გამოსახულება, რომელიც მოგვითხრობს ამ უძველესი ხალხის ცხოვრებასა და ყოფაზე.

სულ სტელაზე 8 სხვადასხვა სიუჟეტია. ერთ-ერთი მთგანია მოქიდავეების ორთაბრძოლა, მეორე ასახავს მუსიკოსებსა და მოცეკვავეებს. საინტერესოა ცხვრის შეწირვის ამსახველი სცენაც.

დოქტორ ისი სალმანის აზრით, ეს სტელა იმყოფებოდა სულ სხვა ადგილზე. იგი გადაუტანიათ ბადრაში და ჩაუმარხავთ იქ საზღვარგარეთ კონტრაბანდით გატანამდე. ადამიანი, რომელმაც შეინახა ეს ძვირფასი ნივთი, რაღაც მიზეზის გამო აღარ დაბრუნებულა და სტელა იდო ახალ ადგილზე, ვიდრე იგი შემთხვევით არ ნახა გლეხმა.

სტელა ბაღდადში ჩაიტანეს. არქეოლოგები განაგრძობენ მის შესწავლას.

დიდი ზარალი

ავსტრიის ერთ-ერთ მხარეში — შტირიაში ჭიქა-ქუხილს მოჰყვა კოკისპირული წვიმები, გრიგალი და სეტყვა, რამაც დიდი ზარალი გამოიწვია.

სამხრეთ და დასავლეთ შტირიის სხვადასხვა რაიონებიდან მოდის ცნობები წალეკილი გზების, წალეხული ნიდების, დატბორილი ნაგებობებისა და განადგურებული სასოფელ-სამეურნეო ნათესების შესახებ. ქალაქ ტალის რაიონში მოსული სეტყვა ისეთი მსხვილი იყო, რომ დაეზიანა შენობები და ავტომობილები.

ავსტრიის სხვა მხარეებიდან — კარინტიიდან და ქვემო ავსტრიიდან აგრეთვე იუწყებიან ჭიქა-ქუხილით გამოწვეულ ზარალს. ამ მხარეებში აღნიშნავენ ხანძრის ბევრ შემთხვევას.

ცხა ილუმეგა

ანონეს ტბა, რომელიც კომოს პროვინციაში მდებარეობს წარმტაც ადგილას, საიდანაც მოჩანს ალპების მწვერვალთა შესანიშნავი ხედი, იღუპება.

ამის მიზეზია წყლის გაბუქყიანება სამრეწველო ნარჩენებით. ასეთივე ბედი ეწია იტალიის ამ პროვინციის სხვა ტბებსაც.

„კომუნისტი“.—საკლესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა „ბუჯეთში“

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ

შეთანხმება მოიწონეს

19 აგვისტო. (საკლესი). ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ დღეს ხმის დიდი უმრავლესობით მოიწონა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დროებითი შეთანხმება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის დარგში ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ, რომელსაც მოსკოვში მოაწერეს ხელი მომდინარე წლის მაისში.

შეთანხმების განხილვის დროს ბევრმა კონგრესმენმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირსა და ამერიკას შეერთებულ შტატებს შორის მიღწეულ შეთანხმებას საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომში შენელებისათვის.

ჰ. კისინჯერი იაპონიაში

ნიუ-იორკი, 18 აგვისტო. (საკლესი). ამერიკის პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში ჰ. კისინჯერი, რომელიც საშ დღეს იყო საიგონში, დღეს ტოკიოში გაფრინდა.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ჰ. კისინჯერი ორჯერ შეხვდა საიგონის რეჟიმის მეთაურს თხიეუს, აგრეთვე ესაუბრა სამხრეთ ვიეტნამში მყოფი ამერიკის შეიარაღებული ძალების სარდალს გენერალ უოინდს და ამერიკის ელჩს საიგონში ე. ბანკერს. ჰ. კისინჯერის შეხვედრები საიგონში საიდუმლოების ვითარებაში მიმდინარეობდა.

ტოკიო, 18 აგვისტო. (საკლესი). ამერიკის პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში ჰ. კისინჯერი დღეს საიგონიდან ხანმოკლე ვიზიტად ჩამოვიდა ტოკიოში.

ვიზიტის ოფიციალური მიზანია მოამზადოს პრეზიდენტ რ. ნიქსონისა და იაპონიის პრემიერ-მინისტრის კ. ტანაკას მოლაპარაკება, რომელიც ჰავაის კუნძულებზე გაიმართება 31 აგვისტოს — 1 სექტემბერს.

ტოკიო, 19 აგვისტო. (საკლესი). იაპონიის პრემიერ-მინისტრმა კ. ტანაკამ დღეს მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში ჰ. კისინჯერი, რომელიც გუშინ ხანმოკლე ვიზიტად ჩამოვიდა იაპონიაში. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს იაპონია-ამერიკის ურთიერთობა, მათ შორის ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა.

ᲙᲠᲙᲚᲐ

თათბირი პრაღაში

19 აგვისტო. (საკლესი). აქ გაიმართა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის საოლქო კომიტეტების, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პრაღისა და ბრატისლავის საქალაქო კომიტეტების პირველი მდივნების თათბირი.

თათბირს ხელმძღვანელობდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი გ. ჰუსაკი, იუწყება ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები და ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრები.

შესავალ სიტყვაში გ. ჰუსაკმა თათბირის მონაწილეებს გააცნო ზოგიერთი საგარეო-პოლიტიკური საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია სოციალისტური ქვეყნების ღონისძიებებთან მთელ მსოფლიოში და, განსაკუთრებით, ევროპაში მშვიდობის განმტკიცებისა და დაძაბულობის შენელებისათვის.

თათბირის მონაწილეებმა ილაპარაკეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის საოლქო ორგანიზაციათა საქმიანობაზე, ხალხის თავდადებულ შრომაზე ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

აღინიშნა, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა გაუაქტიურეს პარტიის რიგების შემადგენლობა. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიაში შედის სულ უფრო მეტი მუშა, გლეხი და ახალგაზრდა. გაიზარდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის წევრთა და ორგანიზაციათა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ეროვნული ფრონტისა და ეროვნული კომიტეტების აქტივობა.

— მათი ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲛᲫᲚᲝᲚᲝᲔᲑᲘ ᲓᲐᲕᲐᲯᲐᲑᲘᲛᲠᲔᲗ, ᲮᲝᲚᲝ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲐ ᲛᲬᲣᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲯᲘᲣᲯᲐᲜᲔᲗ.

„ᲑᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ“. მანჩესტერი (ინგლისი).

კონსერვატორმა მთავრობის რეაქციულ პოლიტიკას ინგლისის მშრომელნი გადამწყვეტ წინააღმდეგობას უწევენ. მმართველი წრეების ცდები — „მრეწველობაში ურთიერთობის შესახებ“ ანტიმუშური კანონის დასმარებით ჩაშალონ დოკერების გაფიცვა, მუშათა ლიდერების დაპატიმრება კონსერვატორთა დამარცხებით დამთავრდა, პოლიციურმა რეპრესიებმა გამოიწვია დოკერებთან სოლიდარობის გაფიცვების მძლავრი ტალღა. საყოველთაო გაფიცვის საშიშროების გამო კონსერვატორთა მთავრობა იძულებული გახდა უკან დაეხია. (გაზეთიდან).

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ

მაროკოს ამბები

19 აგვისტო. (საკლესი). აქ გაიმართა მაროკოს მთავრობის საგანგებო სხდომა, რომელმაც განიხილა ქვეყნის მდგომარეობა მას შემდეგ, რაც 16 აგვისტოს თავს დაესხნენ მეფე ჰასან მეორეს.

ამ დღეს მეფის თვითმფრინავს, რომელიც სამშობლოში ბრუნდებოდა საფრანგეთში ვიზიტის დამთავრების შემდეგ, მაროკოს საჰაერო სივრცეში ცეცხლი დაუშინა ესკორტის ერთ-ერთმა თვითმფრინავმა.

მთავრობის წევრებს შეატყობინეს, რომ თავდასხმის მონაწილე ყველა პირი დაპატიმრებულია და გამოძიების დამთავრების შემდეგ მათ გადასცემენ სამხედრო ტრიბუნალს.

მოგვიანებით მაროკოს შინაგან საქმეთა მინისტრმა მოჰამედ ბენჰიმამ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ეროვნული თავდაცვის მინისტრს გენერალ უფკირს, რომელმაც თავი მოიკლა, ხელი ერია მეფეზე თავდასხმაში. მან აღნიშნა, რომ შეთქმულებაში მონაწილეობდა მაროკოს სამხედრო-საჰაერო ძალების რამდენიმე მფრინავი. ამავე დროს, დასძინა მ. ბენჰიმამ, მთელი არმია „ლოიალური და ერთგულია“ რეჟიმისადმი.

შინაგან საქმეთა მინისტრმა თქვა რომ მომხდარ ამბებს არ მოჰყვება მთავრობის რეორგანიზაცია, რამდენადაც ეს „საჭირო არ არის“.

ᲙᲐᲠᲘᲑᲭᲘ

არქიეპისკოპოსი ბრალს დებს

19 აგვისტო. (საკლესი). ანტიოქიის (სამხრეთ სირია) ეკლესიის არქიეპისკოპოსმა ვასილიოს სამაქანმა პარიზში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ამბილა ისრაელ ჯარისკაცთა დანაშაული ოკუპირებული გოლანის მაღლობის მკვიდრი მოსახლეობის წინააღმდეგ.

მან თქვა, რომ ისრაელებმა ძალით გააძევეს მშვიდობიანი მცხოვრებლები, დაანგრიეს სახლები და ეკლესიები, მათ შორის წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც ჯერ კიდევ 500 წელს აშენდა.

ისრაელნი არ ინდობენ არც მუსლიმანებს, და არც ქრისტიანებს, დასძინა ვასილიოს სამაქანმა.

ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ

● **დაახლოებით 200 ათასი** გირვანქა სტერლინგი შეაგროვა მებრძოლ. ვიეტნამელი ხალხის ფონდში ინგლისის საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „ვიეტნამისადმი სამედიცინო დახმარების კომიტეტმა“.

● **სენატის დემოკრატიული** უმრავლესობის ლიდერმა მ. მენსფილდმა მოითხოვა, რომ ბოლო მოეღოს ამერიკის სამხედრო ჩარევას კამბოჯაში. კონგრესში მენსფილდმა განაცხადა, რომ კამბოჯაში, ისევე როგორც ვიეტნამსა და ლაოსში, შეერთებული შტატები „ყელამდე ჩაფლულია“.

● **18 კაცი დაიხოცა და დაიჭრა** 17 აგვისტოს ღამით, როცა ამერიკის ავიაცია თავს დაესხა დონგანის მაზრის დონგჩუს თემს, რომელიც ჰანოის გარეუბანში მდებარეობს. ამერიკის ბომბებმა იქ დაანგრია 8 და დააზიანა 50-ზე მეტი სახლი.

● **ზამბიის მთავრობამ** გადაწყვიტა ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში გახიზნის იმ სოფლების მთელი მშვიდობიანი მოსახლეობა, რომლებიც პორტუგალიის კოლონიების ანგოლისა და მოზამბიკის საზღვრების გაყოლებით ცხოვრობენ. ეს გადაწყვეტილება მიღებულია იმის გამო, რომ პორტუგალიის მბეჯერიონი განუწყვეტლივ ესხმის თავს ზამბიის საზღვრისპირა სოფლებს.

● **საკუთარი სახლის კართან** (ბელფასტში) ავტომატით მოკლეს კიდევ ერთი კათოლიკე, ჩრდილოეთ ირლანდიის მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლი. მარტო მიმდინარე წლის ივნისიდან ოლსტერელი „ულტრების“ ტერორისტული აქტების მსხვერპლი გახდა სულ ცოტა 60 მშვიდობიანი მცხოვრები.

● **ამერიკის ᲧᲣᲐᲚᲥᲕᲔᲨᲐᲜᲘ** „ასპრო“ წაიღა იაპონიის სასეზოს ნავსადგურიდან, სადაც 17 აგვისტოდან იდგა. პენტაგონი სასეზოს იყენებს როგორც მე-7 ფლოტის ბაზას.

● **ᲢᲐᲠᲐᲐᲣᲠᲘᲡ ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ** ელექტროსადგურის (ინდოეთი) პირველმა რიგმა დღინ მისცა ნაპარაშტრისა და გუჯარათის შტატების საწარმოებს.

● **მსოფლიოში მეოთხე ადგილი** უკავია პოლონეთს ვერტმფრინავების წარმოებით. პირველი პოლონური ვერტმფრინავები მხოლოდ 16 წლის წინათ აშენდა.

● **იაპონიაში გაუშვეს** დედამიწის თანამგზავრი, რომელიც განკუთვნილია სამეცნიერო კვლევისათვის. კოსმოსური აპარატი ორბიტაზე გაიყვანა „მიუ-4“-ოთხსაფეხურიანმა რაკეტამ. თანამგზავრი გაუშვეს უტინოურის (ყაზოსიმის პრეფექტურა) კოსმოსური ცენტრიდან, რომელიც ეკუთვნის ტოკიოს უნივერსიტეტთან არსებულ კოსმოსური კვლევის ინსტიტუტს.



ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

მედიცინის გრანდიოზული მიღწევები ახალ ჰორიზონტებს შლიან ადამიანის დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლაში. თანამედროვე სამედიცინო მამართულების ერთ-ერთი უკელაზე საინტერესო საკითხი, რომელიც ამავე დროს ყველაზე მეტ კამათს იწვევს — ორგანოების გადანერგვაა. ამ სფეროში ზოგიერთ მიღწევასა და წარუმატებლობაზე, ამ ოპერაციებით გამოწვეულ პრობლემებზე მოგვითხრობს არტურ ზარიზის ეს სტატია, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „საიენს დაიჯესტში“ (ნიუ-იორკი).

ვფიქრობთ „კომუნისტის“ მკითხველებისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ამ პრობლემის გაცნობა. სტატია გამოქვეყნდა ჟურნალში „ᲗᲐᲠᲣᲑᲘᲔᲛᲘ“.

□ □

გადანერგვა: წარმატება და მარცხი

ᲐᲡᲘᲡᲬᲚᲘᲗ ადამიანი მთელ ამერიკაში მოლოდინშია. ელოდება რიდის აჩუქებენ სიცოცხლეს — ან თირკმელს ავადმყოფი თირკმელის ნაცვლად, ან გულს, ან კუჭქვეშა ჯირკვალს.

თირკმელი, გადანერგილი ერთი ტყუპის ცალისაგან მეორისათვის, იძლევა თითქმის 100 პროცენტიან გარანტიას, თითქმის ორი წლის მანძილზე. ასე თვლის ნიუ-იორკის უნივერსიტეტთან არსებული სამედიცინო კოლეჯის ქირურგიის პროფესორი რაპპპორტი. თუ გადასანერგი ორგანო აღებულია ერთ-ერთი მშობლისაგან, კეთილსაიმედო შედეგის შანსი 80-90 პროცენტია. ზოგიერთ კლინიკაში მიაღწიეს წარმატებას თირკმლის გადანერგვისას იმ ადამიანებისაგან, რომლებიც ეს-ეს არის გარდაიცვალნენ. აქ წარმატება 70-80 პროცენტია. ერთ-ერთი პირველად გადანერგილი თირკმელი, აღებული ერთჯვერცხიანი ტყუპისცალისაგან, უკვე 17 წელიწადია განაგრძობს ფუნქციონირებას.

1971 წლის 17 სექტემბერს ჟურნალმა „ლაიფმა“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით: „წელიწადი, როდესაც ისინი გულებს ცვლიდნენ“. ეს არის ტრაგიკული წელთაღრიცხვა გულის გადანერგვა – ტრანსპლანტაციისა იმ ციებ-ცხელების პეროდში, რომელსაც დასწყისი 1967 წლის დეკემბერში კეიპტაუნის საავადმყოფოში გაკეთებულმა ოპერაციამ მისცა.

გადანერგვების შეუკავებელმა ტალღამ — ბევრი მათგანი გაკეთებული იყო უპასუხისმგებლოდ, ამისათვის უვარგის ადგილებში — თავის აპოგეას მიაღწია 1968 წლის ნოემბერში, როდესაც მხოლოდ ერთი თვის მანძილზე 26 ოპერაცია გაკეთდა, სულ კი იმ წელიწადს გადანერგილი იყო 101 გული. საშინელი გამოფხიზლება მხოლოდ მაშინ დადგა, როდესაც გამოქვეყნდა ციფრები, რომლებიც სიკვდილიანობის კომშარულად მაღალ დონეზე ლაპარაკობდნენ. 1969 წლის ნოემბერში უკვე არც ერთი ოპერაცია არ ჩატარებულა, წლის მანძილზე კი გაკეთდა 47 ოპერაცია. 1970 წლის 1 იანვრისათვის 150 ოპერაციიდან ცოცხალი მხოლოდ 23 რეციპიენტი რჩებოდა.

მაგრამ თვალი რომ გადაავლოთ ადამიანის ორგანოების გადანერგვის საქმეს საერთოდ, უნდა ითქვას, რომ უკვე ახლა ეს ოპერაციები შეიძლება განხორციელებულ იქნას ადამიანის 18 სხვადასხვა ორგანოსა და ქსოვილზე, ამავე დროს გადანერგვები კეთდება უფრო გულმოდგინედ და ფრთხილად.

ზოგიერთი გადანერგვა უკვე ჩვეულებრივ საქმედ იქცა. მათგან შესაძლოა ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანის სიცოცხლისათვის — თირკმლის გადანერგვა იყოს. 1953 წლიდან 1972 წლის 1 იანვრამდე გადანერგილი იყო 8 ათას 256 თირკმელი და მათგან დაახლოებით 4 ათასი ჯერ კიდევ მოქმედებს.

მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებში გამოვლინებული იყო დაბრკოლების მთავარი მიზეზი ყოველგვარი გადანერგვისათვის — შეუთავსებლობის პრობლემა, იმუნიტეტის მექანიზმი, რომლის დახმარებით ორგანიზმი იცავს თავის თავს გარედან ნებისმიერი შემოტრისაგან. სწორედ ამის წყალობით ორგანიზმი შეიცნობს უცხო სხეულს (ბაქტერიას, ვირუსებს) და შემდეგ ცდილობს მოსპოს ისინი. ორგანოების გადანერგვა არ შედიოდა ბუნების გეგმებში და ამიტომ ეწინააღმდეგება მას. როდესაც გადანერგილია ადამიანის საკუთარი ქსოვილი (მაგალითად ფეხის ტკაცის ნაჭერი, რათა დაფარონ სიდამწვრე ხელზე) ან ერთკვერცხა ტყუპისცალის ორგანო მეორე ტყუპისცალისათვის, ორგანიზმი ღებულობს მას როგორც თავისას და არ განდევნის.

ეს მოვლენა საფუძველი გახდა თირკმლის პირველი წარმატებითი გადანერგვისა. 1952 წელს ახალგაზრდა ამერიკელი მეზღვაური დაავადდა თირკმელების ისეთი ავადმყოფობით, რომლის შედეგი ჩვეულებრივ სიკვდილია. 1954 წლისათვის წამლები აღარ შველოდა. ექიმმა ჯოზეფ მიურეიმ დონორად გამოიყენა ავადმყოფის ტყუპის ცალი და გააკეთა ოპერაცია ბოსტონის ერთ-ერთ საავადმყოფოში.

თანდათანობით გროვდებოდა გამოცდილება, ექიმები სწავლობდნენ ერთმანეთის შეცდომებსა და წარმატებებზე. შეიქმნა წამლები, რომლებიც ამცირებდნენ ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს უცხო ქსოვილებისადმი, დამუშავებულ და გაუმჯობესებულ იქნა მკურნალობის მეთოდები, რომლებიც ხელს უშლიდნენ სხვა სხეულის გამოდევნას და ერთდროულად სულ უფრო სრულყოფილი ხდებოდა ქირურგიული ტექნიკა, ვიდრე ამგვარი ოპერაციები. ბოლოსდაბოლოს არ გაუდა ჩვეულებრივი საქმე. პირველ 9 წელიწადში სულ 123 თირკმლის გადანერგვის ოპერაცია გაკეთდა. მეთოდების სრულყოფასთან ერთად იზრდებოდა ოპერაციების რიცხვიც. მაგალითად 67 — 1962 წელს, შემდეგ წელს ორჯერ მეტი, 1964 წელს კიდევ ორჯერ მეტი. 1968 წელს თირკმლის გადანერგვის ოპერაციების რაოდენობამ პირველად გადააჭარბა ათასს და 1971 წელს 1.726-ს მიაღწია.

გადანერგილი ორგანოების გამოდევნა მთავარი სიძნელეა გადანერგვის დროს, მაგრამ მრავალი სპეციალისტი დარწმუნებულია, რომ ეს პრობლემა დაძლეულ იქნება, „აუცილებელია ვიპოვნოთ საშუალება, რათა ვიძულოთ ორგანიზმი მიიღოს სხვა ორგანო და ამავე დროს არ დავთრგუნოთ მისი თავდაცვითი მექანიზმი“ — ამბობს პროფესორი რაპპპორტი.

დაცვითი მექანიზმის დათრგუნვის შედეგად პაციენტი ხდება „ადვილად ხელმისაწვდომი“ როგორც ჩვეულებრივი ინფექციისათვის, ისე კიბოსათვის (რეციპიენტებს შორის კიბოთი დაავადების რაოდენობა საგრძნობლად მატულობს). მაგრამ როგორც ერთ-ერთი სპეციალისტი აღნიშნავს, „ადვილი შესაძლებელია, რომ იგივე დაცვითი მექანიზმი ჩვეულებრივ ცხოვრებაში იცავს ადამიანს კიბოსაგან; ვინც ივოუნის ერთი პრობლემის გადაწყვეტისათვის ვასალებს, შესაძლოა ხელში მიიღებს ვასალებს მეორისათვისაც“.

პირველი წარმატებული გადანერგვა განხორციელდა 1667 წლის 15 ივნისს, როდესაც ჟან ბატისტ დენინ, პარიზის ფილოსოფიის პროფესორმა და ლუდოვიკ XIV-ის ექიმმა, პირველად გადაუსხა ადამიანს ცხვრის სისხლი. პაციენტი გადარჩა. დენინ სისხლი გადაუსხა კიდევ ორს, მაგრამ განიცადა სასტიკი დევნა და შეწყვიტა თავისი ცდები. ფატალურად სისხლის გადასხმის ირგვლივ მწვავე დისკუსიები არ წყდებოდა პირველ მსოფლიო ომამდე, როდესაც გაკეთდა რამდენიმე ამგვარი ოპერაცია.

სისხლის გადასხმის დროსაც შესამჩნევია გამოდევნის პრობლემა. თუ შეცდომით იქნა დადგენილი სისხლის ჯგუფები ან ადგილი აქვს შეუთანხმებლობას, ხდება დონორის წითელი ბურთულების სწრაფი დაშლა

... ეს ქართველთა ღიღეა ეროვნულ ...

ასე იცავდნენ მოსკოვის ცას...

გენერალ-ლეიტენანტ ნ. ა. სბიტოვის საბრძოლო დღიურიდან

...გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე სბიტოვის სამუშაო ოთახი. აქედან კარგად მოჩანს — შორს რეაქტიული თვითმფრინავების ჯგუფმა გრძელი თეთრი კვალი დატოვა ცის კიდურზე...

გენერლის მაგიდაზე ძველი, გაცრეცილი წიგნაკი დევს. ათასგვარი ჩანაწერებით, ჩანახატებით და სქემებით სავსე. ეს ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძის საბრძოლო დღიური გახლავთ, ომის ქარ-ცეცხლს და ბევრ წელს რომ გადაურჩა...

ამ წიგნაკის ფურცლებიდან ნათლად ჩანს და იგრძნობა ის მრისხანე პერიოდის მაჯისცემა, როცა გერმანელ ფაშისტთა ურიო მოსკოვისკენ გაჩრას ცდილობდა. ნ. სბიტოვი მაშინ მოსკოვის საპაერო დაცვას ხელმძღვანელობდა...

„კარგად მახსოვს, — იგონებს გენერალი, — ომის დაწყების წინ დაურეკეს და მიიკეთა ვთხოვეს მახურინს, სსრ კავშირის ავიაციის კომისარს. რატომღაც უარი მითხრა. მინდოდა მისთვის ჩემი შენიშვნები გამეზიარებინა საბჭოთა საბრძოლო თვითმფრინავების პოტენციალური შესაძლებლობების გამო. იძულებული ვიყავი მიმეწერა წერილი ი. ბ. სტალინისათვის. მეორე დღეს კრემლში გამომიძახეს. მოვახსენე ჩემი მოსაზრება.

— დამიმტკიცეთ! — მოკლედ მომიჭრა მან. ვუთხარი, რომ ფრანგი მფრინავების ვიზიტის დროს მოსკოვში საბჭოთა ესკადრილია ვერაფერით ვერ დაეწია ფრანგეულ საბრძოლო თვითმფრინავებს...

ი. ბ. სტალინი მიუბრუნდა ოქვე მჯდომ შაურინს და ასე უთხრა: — ლენინი, ჩვენი ბელადი, ბევრად უფრო დაკავებული იყო თქვენზე, და მაინც პოულობდა დროს, რათა მიეღო და მოუსმინა თითქმის ყველასთვის, ვინც კრემლში მოდიოდა მის სანახავად!

იმ დღესვე სპეციალური დავალებით მომავლინეს სხვადასხვა საავიაციო ქარხნებში, რათა პირადად გავეცნობოდი და შემემოწმებინა მათი მუშაობა... რამდენიმე თვის განმავლობაში ჯანხორციელდა გიგანტური ღონისძიება ჩვენი ავიაციის საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანისთვის.

ომის პირველ დღეებში მოსკოვს იცავდა ექვსი გამანადგურებელი პოლკი, თვითეულში 60 თვითმფრინავი ერიცხებოდა. ივლისის ბოლოს კიდევ ამდენივე თვითმფრინავი მივიღეთ. ხელქტმბერში კი უკვე 1000 თვითმფრინავი იცავდა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქს. ეს მართლაც რომ კოლოსალური რიცხვია...

მახსოვს სოფელ იუხნოვოსთან, მოსკოვიდან 140 კილომეტრის დაშორებით, სრულიად შემთხვევით 1941 წლის 5 ოქტომბრის საბჭოთა მუზეურავმა მფრინავმა მტრის რამდენიმე ასეული ტანკი და საბრძოლო ტექნიკა აღმოაჩინა. ეს დაუჯერებელი ამბავი იყო. ამ მხრიდან გერმანელებს არავინ მოელოდა. მაშინ განსაკუთრებული მძიმე მდგომარეობა იყო მოსკოვის მიხადგომებთან. სარდლობა იძულებული გახდა ახალბედათა, ომში ახლადგაწვეულთა ლაშქარი გადაეყროლა ამ მიმართულებით. და აი კურსანტების ლაშქარმა შიდი დღით შეაჩერა გერმანელთა რჩეული ქვეითაყოფები, სანამ მაშველი ჯარი არ მოვიდა. დიდება ბრძოლაში დაღუპულ გმირთა ხსოვნას!

დღეები დღეებს მისდევდა. მაშინ, იმ მრისხანე 1941 წელს ვერც ერთი ჩვენგანი ვერ გრძნობდა, როგორ გადადიოდა დღე ბინდბუნდში, მერე ღამეში და როგორ მოდიოდა ახალი დღე. მთელი ჩვენი დიდი ქვეყანა ერთ საოცარ გოლიათ ვაჟკაცად იყო შემართული და შავ ურჩხულს ებრძოდა...

ოქტომბრის ბოლოს გენერალ-ლეიტენანტები ჟიგარევი, არტემიევი, ტელეგინი და მე სტალინთან გამოგვიძახეს. ამ დროს უკვე მოსკოვის ოლქის საპაერო დაცვის უფროსი ვიყავი. სტალინი დიდხანს დადიოდა მდუმარედ. ჩიბუხს აბოლებდა. მერე ჩვენკენ მოტრიალდა: „ოქტომბრის რევოლუციის 24-ე წლისთავის აღსანიშნავად სამხედრო პარადი უნდა მოვაწყოთ!“ ჩვენ ვერაფერი ვუთხარით. ახლა ადვილია ამაზე ლაპარაკი. ხოლო მაშინ, როცა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდებოდა, სამხედრო პარადზე ფიქრიც კი ოცნება იყო. სტალინი კი უკვე ბრძანებებს იძლეოდა: არტემიევს დაევალა პარადზე სამხედეთო ჯარების გამოყვანა, მტრის ახლოს განლაგებული აეროდრომებისთვის ჟიგარევს უნდა დაირტყა, მე საავიაციო პარადის ჩატარება მებრძანა.

ვიდექით აღელვებულნი, სიხარულით ხმას ვერ ვიღებდით. იხე დავიბენი მოზღვავებული შთაბეჭდილებების გამო, რომ სამხედრო დავთარი სტალინის ოთახში დამრჩა. მალე გამომიტანა გენერალმა რუშინაცევმა და ღიმილით მითხრა: სტალინმა შეიოგითვალა, ჩემთანაც კი არ შეიძლება სამხედრო საბუთების დატოვებაო...

წითელ მოედანზე 1941 წლის 7 ნოემბრის პარადი იყო მთელი საბჭოთა ხალხის დიდი მორალური გამარჯვება...

ომის დამთავრების შემდეგ, მე უკვე გენერალ-ლეიტენანტის წოდებით ვემსახურები ჩვენ ხალხს, საბჭოთა საპაერო-რეაქტიულ ავიაციას. ზუსტად 25 წლის წინათ 1947 წლის 1 მაისს საპაერო დივიზიას ვუძღოდი წითელ შორეული ბომბდამშენები მიხეილ უგრიუმოვი, ვლადიმერ მაჩაიძე და ალექსი როგოვი“...

ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე გაჩუმდა. მერე აიღო სუფთა ქაღალდი და „კომუნისტის“ ყველა მკითხველს მიმართა საბჭოთა ავიაციის დღეთ-ალ ...

„ბაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს.

ძვირფასო ქართველო მეგობრებო, მიიღეთ ყველაზე გულთბილი მოლოცვა საბჭოთა ავიაციის დღეს.

განსაკუთრებით მინდა მივულოცო ჩვენი ქვეყნის საავიაციო ქარხნის იმ საწარმოს კოლექტივს, რომელმაც ქვეყანას მისცა პირველი რეაქტიული ავიაგამანადგურებელი. მადლობა ყველას, ვინც შექმნა ახალი რეაქტიული ტექნიკა, რამაც დასაბამი მისცა ავიაციის თანამედროვე პროგრესს და განამტკიცა სსრ კავშირის თავდაცვა“.

... ფანჯრის რაფაზე ბეღურები გაუთავებლად ჭიკჭიკებდნენ... შორს ცაზე რეაქტიული თვითმფრინავების თეთრად გაკვალული ბილიკი მოჩანდა.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ქ. მოსკოვი.

გ. მებუკე



ბარდიანი ა. ა. საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის წევრი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი გიორგი (გიგლა) ნიკიფორის-ძე მებუკე.

გიორგი (გიგლა) მებუკე 1911 წლიდან თანამშრომლობს „სახალხო გაზეთში“, „კოლხიდაში“, 1916 წელს ინიშნება გაზეთ „ზეიმის“ პასუხისმგებელ მდივნად. ოქტომბრის რევოლუციამდე ქუთაისის გაზეთებში აქვეყნებს მეფის რუსეთის ძალადობის მამხილებელ წერილებს სხვადასხვა ფსევდონიმით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კალმით ხელში აქტიურად იბრძვის რევოლუციის მონაპოვრის განმტკიცებისათვის. სხვადასხვა დროს მუშაობს საქართველოს პროფსაბჭოს „მეგზური“, „მუშის ხმა“) პასუხისმგებელ მდივნად, გაზეთ „მუშის“ რედაქტორად, გაზეთ „კომუნისტის“ მუშათა განყოფილების კაბეტად. მეგობარ ნაყოფიერი იყო მისი 15 წლის მოშაობა საქართველოს რადიოკომიტეტში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე.

გ. მებუკის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები სისტემატურად იბეჭდებოდა საქართველოს თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთში და მკითხველთა მოწონებით სარგებლობდა. მკითხველთა განსაკუთრებული აღიარება და მოწონება დაიმსახურა 1962 წელს გამოცემულმა მისმა ლიტერატურულ-კრიტიკული შინაარსის წიგნმა „ხალხოსანი მწერლები“. განსვენებულს გამოსაცემად გამზადებული დარჩა მოგონებები დიდ ქართველ პოეტ გალაკტიონ ტაბიძეზე, რომელთანაც მას დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა.

მწერლისა და ჟურნალისტის, გულისხმიერი ადამიანის გიორგი (გიგლა) მებუკის სახელი დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და თანამოკალმეების ხსოვნაში.

საქართველოს სსრ მწერალთა კავშირი.

სპასპი — ფიშერის მატჩი

სულაც არ იყო მშვიდობიანი...

რეიკიავიკი, 18 აგვისტო. (საკადესის სპეც. კორ. ა. ერმაკოვი). მსოფლიო პირველობის მატჩის მეთხუთმეტე პარტია ისევე დამთავრდა, როგორც ვარაუდობდნენ სპეციალისტები, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შავების მეფე შეიძლება რამდენიმე სვლის შემდეგ სპასკის საშამათო ჭხელში გაბმულიყო.

ამ პარტიამ ცხადყო, რომ ორივე გროსმაისტერი, ისევე როგორც წინათ, ესწრაფვის მძაფრ თამაშს. მართლაც, მატჩის განმავლობაში ჯერ არ ყოფილა მშვიდობიანი ყაიმი.

მსოფლიოს ჩემპიონმა მეთხუთმეტე პარტია თანაბრად ვერ ითამაშა. დღესაც პარტიის ანალიზის შემდეგ გროსმაისტერებმა აღნიშნეს, რომ მან ნაადრევად დაიწყო შეტევა, როგორც ჩანს, ტაუოლუბრალოდ აიღო ლაზიერით შავების მეორე პაიკი, რის შედეგად თავისი უძლიერესი ფიგურა მოაშორა ფლანგს, სადაც ვითარდებოდა მთავარი ამბები. ფიშერმა, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ოსტატურად აიწყო კონტრთამაში, მაგრამ მაინც ძლიერი შეტევის შემდეგ გამარჯვება ვეღარ შეძლო.

...ინლანდიის გაზეთები იუწყებიან, რომ ამერიკელმა პროდიუსერმა ჩესტერ ფოქსმა სასამართლოში უჩივლა ფიშერს, რომელსაც მატჩის კინოგადაღების შეწყვეტის გამო მოითხოვს 1.750 ათას დოლარს კინოგადაღების მონაბოლოური უფლებისათვის ვიზარჯების ასანაზღაურებლად. თავის საჩივარს ფოქსი იმით ასაბუთებს, ფიშერმა ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე იცოდა კინოგადაღების შესახებ და მაშინ წინააღმდეგი არ იყო.

„ფიშერი კვლავ იმუქრება“ — ასეთი სათაურით გაზეთი „ტაიმი“ იუწყება, რომ ფიშერის სახელით კრამერმა წერილობითი პროტესტი გაუგზავნა ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს მაქს ეიფს, რომელშიც უჩივის მატჩის მთავარ არბიტრს ლოტარ შმიდს, უარის გამო სცენიდან უკან დასწიოს სკამების პირველი რიგებიო. წინააღმდეგ შემთხვევაში, წერს კრამერი, ფიშერი დაჟინებით მოითხოვს, რომ თამაში მოეწყოს პატარა იზოლირებულ დარბაზში.

სამი ქულა დიდი განსხვავებაა ანგარიშში, განსაკუთრებით ახლა, როცა უკვე გათამაშდა თხუთმეტი პარტია. და მაინც იმიდს არ ვკარგავთ, რომ ბრძოლაში მოხდება გარდატეხა: სპეციალისტთა აზრით, სპასკი უფრო საინტერესოდ, მაგრამ, სამწუხაროდ, არათანაბრად თამაშობს.

სოხუმის საერთაშორისო

სიცხე ჭადრაკის დაფებზე

სოხუმი, (ტელეფონით, „კომ“, სპეც. კორ.). ცხელა სოხუმში, მაგრამ ჭადრაკის დაფებზე მეტი ტემპერატურაა.

მეორე ტურში ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის სავონის პარტია ბულგარელ კიროვთან. მათს პაექრობაში ამ უძველესი ბრძნული თამაშის მოყვარულებმა იხილეს ყველა მისი სიმშვენიერე — შეწირვები, ტაქტიკური დარტყმები და ა. შ. სავონმა ჩინებულად ითამაშა და მრავალრიცხოვანი მაყურებლის ტაში დაიმსახურა. დაძაბული იყო ტალ-გუფელდის შეხვედრა. შავებმა შეძლეს ინიციატივის ხელში ჩაგდება სიცილიურ დაცვაში, მაგრამ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მოსერხებულად იცავდა თავს და მუდმივი ქიშით ყაიმი შესთავაზა მეტოქეს. მეორედ დამარცხდა კანადელი ოსტატი სათლი. ამჯერად მოსკოველ ოსტატ მურეისთან. მუხინ-ხოლმოვის, პიუბნერტაკამანოვის, ლიბერზონ-რიეს, იანსაბლიანავსკის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

მესამე ტურში ცენტრალური პარტია იყო ტაიმანოვ-ტალის პაექრობა. იგი თავბრუდამსვევ გართულებათა შემდეგ ყაიმით დასრულდა. აღსანიშნავია, რომ ტალმა ამ პარტიაშიც მუდმივი ქიშით შეძლო ნახევარი ქულის გადარჩენა. სათლზე მეტად ორიგინალურ მოჭადრაკედ ითვლება, მაგრამ ამჯერად მან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. 30-ე სვლისათვის ყველა მისი ფიგურა (იგი შავებით ეთამაშებოდა გუფელდს) ორ უკანასკნელ ჰორიზონტალზე განლაგდა. თეთრებს ბევრი შესაძლებლობა ჰქონდათ გადამწყვეტი უპირატესობის წოპოვებისათვის, მაგრამ მოულოდნელად უხეში შეცდომა მოუვიდათ და ახლა პარტია გადადებულია მათთვის ძნელ მდგომარეობაში. ყაიმით დასრულდა ხოლმოვ-ლიბერზონის, იანსა-მუხინის, ხონფი-ბელიავსკის, კიროვ-უსპიგის შეხვედრები.

ამრიგად, სამი ტურის შემდეგ საკონსა და ტაიმანოვს ორ-ორი ქულა აქვთ.

ე. გუფელდი,
საერთაშორისო გროსმაისტერი.

□ □

რამდენიმე სტრიქონით

მძლეობა. სპორტსმენები უკანასკნელ სტარტებზე გამოდიან მიუნხენის დიდი ასპარეზობის წინ. ვარშავაში ლენინგრადელმა იური ზორინმა 400 მეტრზე თარჯრბენში უჩვენა 50,2 წამი. ამ საერთაშორისო შეჯიბრებაზე კარგად გამოდიან მასპინძლებიც — დანუტა სტრაშინსკამ თარჯრბენში 100 მეტრი 12,8 წამში გაირბინა, ხოლო ზბიგნევ იარემსკიმ და იან ვერნერმა ერთნაირი დრო მოანდომეს 400 მეტრის დაფარვას — 45,8 წამი, ანალოგიურად სტანისლავ სმიტკოვსკიმ 3.000 მეტრზე დაბრკოლებებით სირბილში აჯობა მსოფლიო რეკორდსმენს — ავსტრალიელ კერი ო' ბრაიენს. მისი დროა 8.28 წუთადა.

რეკორდი. უმაღლესი ლიგის გუნდებმა განაახლეს საკავშირო ჩემპიონატის მატჩები. გუშინ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე მეორე წრის პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლები — „ლოკომოტივი“ და ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საპაერო აკადემიის გუნდი. დაძაბული ორთაბრძოლა მოიგეს სტუმრებმა — 13:10.

ვილნიუსში დამთავრდა მეორე ჯგუფის გუნდების ფინალური ასპარეზობანი. თბილისის „დინამოს“ რეგბისტებმა ერთწლიანი „შესვენების“ შემდეგ კვლავ მოიპოვეს უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება. ქართველმა სპორტსმენებმა ფინალში ყველა გუნდს სძლიეს.

შეხვედრები. მიუნხენში გამგზავრების წინ საბჭოთა ოლიმპიური ნაკრები ბოლო საკონტროლო მატჩს გამართავს 22 აგვისტოს მოსკოვში. ოლიმპიელთა სპარინგ-პარტნიორი ამ შეხვედრაში იქნება ერევნის „არარატი“.

გაიმართა მოსკოვის ვეტერანთა ტურნირის ფინალური მატჩი. თასისათვის იბრძოდნენ მოსკოვის „დინამო“ და პროფკავშირული გუნდების მოთამაშეთა ნაკრები. გაიმარჯვეს პროფკავშირელთა წარმომადგენლებმა — პონუდელნიკმა და მიხაილოვმა 2 უპასუხო ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში.

მეხუთე ოკეანის ჩემპიონები

ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიმის შტატის ქალაქ ტალეჰასის მახლობლად დამთავრდა მსოფლიო პირველობა სპორტულ სტრელობაში. მსაჯთა კოლეგიამ უკვე გამოაქვეყნა წინასწარი მონაცემების ასპარეზობის შედეგების შესახებ.

შესანიშნავი საჩუქარი მოუმზადეს საბჭოთა პარაშუტისტებმა სსრ კავშირის საპაერო ფლოტის დღეს. ვაკთა ნაკრებმა გუნდმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა — პირველი ადგილი დაიკავა. მეორეზე არიან მასპინძლები — ამერიკის შეერთებული შტატების საპაერო სპორტსმენები, მესამეზე — მსოფლიოს ექს-ჩემპიონები — ჩეხოსლოვაკიის გუნდი. მხოლოდ ერთი მესამედი ქულა დაუთმო ჩვენმა ანატოლი ოსიპოვმა პირად ჩათვლაში გამარჯვებულს 23 წლის ამერიკელ პარაშუტისტს კლეიტონ შოლპს. მესამე იყო ჩეხოსლოვაკიელი იოზეფ პოსპიშალი.

შედარებით მოგრძალებული შედეგები აღმოაჩნდა ჩვენს ქალთა ნაკრებს. ისინი საპრიზო სამეულში ვერ მოხვდნენ. გაიმარჯვეს ბულგარელმა პარაშუტისტმა ქალებმა, რომლებმაც გაუსწრეს ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდებს. პირადი პირველობა მოიპოვა ბარბარა კარკოშკამ (გდრ), ვერცხლის მედალი ხვდა ჰელენა ტომსიკოვას (ჩეხოსლოვაკია). საბჭოთა პარაშუტისტი სვეტლანა სტარიკოვა ბრინჯაოს დასჯერდა.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი



ცაში მხოლოდ ქალიშვილებია

ეს სურათები „კომუნისტის“ ფოტოკონკურსისათვის გამოგვიგზავნა ფოტოჟურნალისტმა ბ. კამენსკიმ. აქ აღბეჭდილია არმიის, ავიაციისა და ფლოტის ნებაყოფლობითი საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური ავიაკლუბის პარაშუტისტი ქალების წვრთნა.



საქართველოს სსრ მწერალთა კავშირი

ხულიგანს — ღირსეული სასჯელი

მართალია, ავთანდილ დარჩოს-ძე აყოფაშვილი ახალგაზრდა კაცია, მაგრამ ღვინისა და ირყის სმაში საკმაო გამოცდილება აქვს მიღებული. გაუთმენებულმა ლოთობამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ფეხი წაამტვრევინა.

ამას წინათ მძღოლი ავთანდილ აყოფაშვილი ჩვეულებრივად გამოთვრა. დიღმის მასივში, სადაც ის ცხოვრობს, ქუჩაში აყალმაყალი ატეხა. უცნობ მანდილოსანს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენა. ამ ამბის ერთ-ერთმა დამსწრემ აღვირახსნილ ხულიგანს წესიერებისაკენ მოუწოდა. ხულიგანმა ნასაც სილა გაარწა.

გათავხედებული ლოთი ხულიგანი მილიციამ შეიპყრო.

პირველი მაისის სახალხო სასამართლომ თ. ინასარიძის თავმჯდომარეობით ხულიგან ა. დ. აყოფაშვილს სამი წლის პატიმრობა მოუსაჯა სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

ჯ. სხვაველი.

საქართველოს სსრ მეწარალთა კავშირი

ხულიგანს — ღირსეული სასჯელი

მართალია, ავთანდილ დარჩოს-ძე აყოფაშვილი ახალგაზრდა კაცია, მაგრამ ღვინისა და ირყის სმაში საკმაო გამოცდილება აქვს მიღებული. გაუთმენებულმა ლოთობამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ფეხი წაამტვრევინა.

ამას წინათ მძღოლი ავთანდილ აყოფაშვილი ჩვეულებრივად გამოთვრა. დიღმის მასივში, სადაც ის ცხოვრობს, ქუჩაში აყალმაყალი ატეხა. უცნობ მანდილოსანს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენა. ამ ამბის ერთ-ერთმა დამსწრემ აღვირახსნილ ხულიგანს წესიერებისაკენ მოუწოდა. ხულიგანმა ნასაც სილა გაარწა.

გათავხედებული ლოთი ხულიგანი მილიციამ შეიპყრო.

პირველი მაისის სახალხო სასამართლომ თ. ინასარიძის თავმჯდომარეობით ხულიგან ა. დ. აყოფაშვილს სამი წლის პატიმრობა მოუსაჯა სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

ჯ. სხვაველი.

თქვენთვის, ფელეტონისტებო!

გაზეთ „იზვესტიის“ ფელეტონების განყოფილება აცხადებს დახურულ კონკურსს საუკეთესო ფელეტონზე. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ცენტრალური, დარგობრივი, რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების ფელეტონისტებს.

კონკურსზე გამოგზავნილი მასალები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

პირველი — ფაქტების სრული სიმართლე და დამაჯერებლობა.

პირველი — სადღეისო საჭირბოროტო თემატიკა განსაშუქებელი საკითხისადმი პარტიული და პრინციპული მიდგომა.

პირველი — მაღალი ლიტერატურული დონე.

როგორც ხედავთ, სამივე პირობას პირველი ადგილი უჭირავს, რადგან მათ შორის არცერთი არ არის მეორეხარისხოვანი.

ღირსეული ფელეტონები გამოქვეყნდება „იზვესტიაში“ ან „ნედელიაში“, ხოლო საუკეთესოებს ეიენეგებათ პრემიები:

პირველი პრემია — 300 მანეთი.

მეორე პრემია — 150 მანეთი.

სამი შეხსენ პრემია — ლაურეატთა შემოქმედებითი მივლინება სსრ კავშირის ფარგლებში.

მასალები უნდა გამოიგზავნოს 1972 წლის 1 დეკემბრამდე შემდეგი მისამართით: 103006, მოსკოვი, გსპ, კ-6, პუშკინის მოედანი 5. გაზეთ „იზვესტიას“ რედაქციას:

გთხოვთ კონვერტზე აღნიშნოთ „ფელეტონისტთა კონკურსისათვის“.

გაზეთ „იზვესტიის“ ფელეტონების განყოფილება.

ზაზა კაციაშვილი

სიყვე-სიდედრპინი

იუმორესკა

არა, ბატონო, არაა
თქვენ რომ გგონიათ, ისეთი:
კაპასი, ენატარტალა,
გულღრძო და ეშმაკისერთი.
განა უტარო კოვზივით
ყველას საქმეში ეჩრება?
თუ დაიჯერებთ, დედაში
მართლა არ გამომერჩევა.
არ უყვარს ცხვირის აწევა,
არ იფოფრება კრუხივით,
ნიადაგ ჩემზე ზრუნვაა
იმისი გულისწუხილი.
მამლის ყივილსაც არ უცდის
(არც ზედმეტს ვამბობ, არც
ჭორსა),
ბაზარს მოიკლის, მოზიდავს
პურ-ყარაქს, რძეს და ხაჭოსა.
სადილი, კერვა, სტუმარი,
დარდი (პრიალა პარკეტის),
ბავშვებს სულ თავზე ეკლება—
მათ ნაცვლად სწავლობს
გაკვეთილს.
სამადლობელი სიძე კაცს
კისერზე ვალად მაწევს,
ღმერთო, ჩემს სიდედრს
გაეედრებ,
აცოცხლე კიდევ ას წელსა...

ვახტანგ ჯავრიშვილი

იგავები

ჭირი და ჭორი

ჭირმა წაუტრაბახა ჭორს — ადამიანთათვის აუარაბელი ვნება მიმიყენებიაო, და მაგ საქმეში ჩემთან კოტი მოგისსტებსაო, — მიუგო ჭორმა.

ვერ გაექცევი

— კატაო, თაგვი რამ დაგაჭერინა?
— კუჭმა.
— თაგვო, შენ რასამ დაგლუპა?
— კუჭმა.

ჯიგე და გული

ჯიგე შეეკითხა გულს — ჩემი არსებობის შესახებ თუ რაიმე გსმენიაო, და — როგორ არა, შენ რომ დავიწროვდები ხოლმე, მე სიგანივრე მემართებაო — მიუგო გულმა.

მანჭანა და კაცი

მანჭანამ განუმარტა კაცს — ჩემი ავკარგიანობა იმაზე კი არ ჰკიდია, თუ რამდენი მაქვს გავლილი, არამედ როგორი გზა მაქვს გავლილიო, — და ავაშენა ღმერთმაო — ჩაუცინა კაცმა.

პირის მოვალეობა

პირს კითხეს — რა მოვალეობა გაკისრიაო, — და — დაუღეჭავ-დაუმუშავებელი არც საჭმელი ჩავუშვა და არც სიტყვა გამოვუშვაო — უპასუხა პირმა.

ნაკაკვესები

□ ალალ ქულაძე ჩარიცხეს, არამ ფულაძე არაო.

□ აბიტურიენტმა დაასკვნა — მე თუ არ ჩავაბარე, მამაჩემის „ჩაბარება“ ველარ მიშველისო.

□ ზარმაცს დღეგრძელობა უსურვეს და ღამეგრძელობა მარჩევნიაო.

□ კმაყოფაზე შვილი იყო, ყმაყოფაზე მამაო.

□ ინფინერს რომ სკოლის შენობის გადახურვა შეუგვიანდა — არაუშავს რა, ზედა სართულზე ღია გაკვეთილები ჩაატარონო.

□ მამაც მოსწავლედ ვერ ჩაითვლები, თუ მამაც გეხმარებაო.

კოლონური იუმორი



უსიტყვოდ.

ნასატი ზბიგნევ იუზეპისა ჟურნალ „პოლსკოე ობოზრენიე“.

ტელევიზია

20 აგვისტო

პირველი პროგრამით

10.05 — დილის ვარჯიში ბავშვებისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — კინონარკვევი — „ცისფერი ეკრანი“, 11.00— სსრ კავშირის სამოქალაქო საპაერო ფლოტის მინისტრის მოადგილის ა. სვეჩნიკოვის გამოსვლა (გადმოცემა მოსკოვიდან). 11.15 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — მოსწავლეთათვის — ტელესტუდია „ორლიონოკის“ ნორჩ კორესპონდენტთა შეხვედრა საბჭოთა კავშირის კოსმონავტ მფრინავ რუკავიშნიკოვთან (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.45 — „კინოფიშა“, 13.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — 1. „მულტეკრანი“, 2. „პალიტრა“, 14.10 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის“, 14.40 — სატელევიზიო დადგმა „ზანზოთ კვარტალი“ (განმეორებით), 15.25 — საესტრადო კონცერტი, 16.00 — კინონარკვევი — „ბორბალი და ფეხები“, 16.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „ბუნების კარი“, 16.50 — სსრ კავშირის სამხედრო-საპაერო ძალების მთავარსარდლის ავიაციის მარშალ პ. კუტახოვის გამოსვლა (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.05 — „ცის ლაჟვარდებში“, 17.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი — „ბამოცანების პლანეტა“, 17.40 — „პოეტი სტუდიაში“, 18.00 — ფერადი ტელევიზია, „კინომოგზაურობის კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „მღერის იური მაზუროკი“, 19.40 — კინონარკვევი — „ახალგაზრდობის ქალაქი“, 19.50 — „კიბეობს ოლიმპიური ციცხლი“, 20.10— „მოამბე“, — საინფორმაციო პროგრამა, 20.25 — ფერადი ტელევიზია, სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბრიტანეთის ნისლი“ (II სერია), 21.15 — სპორტული პროგრამა, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან). 22.30 — მხატვრული ფილმი „დამნაშავეთა სამყაროს პროფესორი“.

21 აგვისტო

პირველი პროგრამით

15.05 — ციკლიდან „დოკუმენტური კინო ბრალს სდებს“ (18 აგვისტოს გადაცემის გამეორება), 15.30 — „ვარშავა“, 21.10—კონცერტი, 21.40—კინონარკვევი, 22.00—„ვრემია“—საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი — „ღამე მეოთხმეტე პარალელზე“.

მეორე პროგრამით

19.05 — „კინონარკვევი, „რომაული პორტრეტი“, 19.25 — კონცერტი, 20.15 — ფილმი-სპექტაკლი „ვარშავული მელოდია“ (I სერია).

21 აგვისტო

პირველი პროგრამით

15.05 — ციკლიდან „დოკუმენტური კინო ბრალს სდებს“ (18 აგვისტოს გადაცემის გამეორება), 15.30 — „ვარშავა“, 21.10—კონცერტი, 21.40—კინონარკვევი, 22.00—„ვრემია“—საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი — „ღამე მეოთხმეტე პარალელზე“.

მეორე პროგრამით

19.05 — განცხადებები, 19.10 — კინონარკვევი — „ამომსავლეთის ექსპრესი“, 19.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მუსიკალური პროგრამა, 20.15 — საატელევიზიო დადგმა „ვარშავული მელოდია“ (II ნაწილი).

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

„კომუნისტი“ 380008 თბილისი-8 ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-98-03. 99-08-09. პ/მ მდივ ნომ — 99-72-80. სამდივნოსი — 99-66-10 განცხადებებისა: პარტიული — 99-87-61. პროპაგანდის — 93-22-98 მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70. მიცნიერების უმაღლესი სახწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60-21 წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УФ 04581

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.